

დავძლიოთ გენდერული ძალადობა

ტრენინგის კურიკულუმი



United Nations Population Fund

გაერთიანდება ეროვნულ მისამართის ფორმა



NORWEGIAN MINISTRY
OF FOREIGN AFFAIRS

დავძლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში

ტრენინგის პურიკულური

ტრენინგის პურიკულური მომზადებულია გაეროს მოსახლეობის ფონდის -**UNFPA** რეგიონალური პროექტის “დაგძლიოთ გენდერული ძალადობა ამიმრჩაშესრულებელი” ფარგლებში.

პურიკულური მომზადება კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის (ICCN) მიერ.

აგენტორები:
ნანა ბერეკაშვილი
თინათინ ასათაძი
შორენა ლორთქიფანიძე
რუსუდან გოცირიძე

2009



სარჩევი

შესაბამის

პროექტის აღმერა
კურიკულურის კონცეფცია

ნაწილი 1. მიზანთადი საკითხები

გამოცდილებაზე დაფუძნებული სრავლების პრინციპები
გენდერი, გენდერული თანასწორობა, გენდერული სტერეოტიპები
ქალადობა, გენდერული ქალადობა, არაქალადობის კონცეფცია
ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები

ნაწილი 2. ტრანსიცის პროცესი

- 5 დღიანი ტრანსიციის პროცესი
- 3 დღიანი ტრანსიციის პროცესი

ნაწილი 3 საგარეულოები

06ტერაპიული სრავლება
გენდერი
ქალადობა
გენდერული ქალადობა
ადამიანის უფლებები

ნაწილი 4. დანართები

დამატებითი მასალები
ივალსაჩინოებანი
შეფასების ფორმები
ლექსიკონი



შესავალი

პროექტის აღწერა

UNFPA ახორციელებს ფართომასშტაბიან რეგიონალურ პროექტს “დაფლიოთ გენდერული ძალადობა ამიერგავგასააში”. პროექტი წარმოადგენს 3 წლიან მრავალკომპონენტიან ინიციატივას, რომელიც განხორციელდება ამიერგავგასის სამივე ქვეყანაში. პროექტის მიზანია ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერით.

პროექტის ორი ძირითადი მიზანი აქვს:

1. სახელმძღვანელოს/ტრენინგ კურიკულურის შექმნა გენდერული ძალადობის საკითხებში
2. საქართველოში გენდერული ძალადობის საკითხებში გარკვეული და მოტივირებული ადამიანების ჯგუფის მომზადება, რომლებიც მარტივი და მისაწვდომი ფორმებით გააგრცელებენ ცოდნას გენდერული ძალადობის, მისგან მიყენებული ზიანისა და მისი დაძლევის მეთოდების შესახებ საქართველოს მოსახლეობის უფრო ფართო წრეებში.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება “სამიზნე ჯგუფების განათლება”. რაც მოიაზრებს განმანათლებელთა განათლებას გენდერის, გენდერულ უფლებებსა და გენდერულ/ოჯახურ ძალადობასა და მამაკაცთა ჩართულობის საკითხებზე. **UNFPA** საქართველოს ოფისი ამ პროექტს ახორციელებს ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციის პროცესში და მოლაპარაპების სამოსამართლოს სამსახურის (ICCN) მეშვეობით.

ტრენინგის პროცესში მომზადება 200 განმანათლებელი, რომლებიც სპეციალური კურიკულურის საფუძველზე მიღებულ ცოდნას გენდერზე, გენდერულ უფლებებსა და თანასწორობაზე, გენდერულ/ოჯახურ ძალადობასა და მამაკაცთა ჩართულობაზე საკითხებზე 2009-2010 წლისათვის გადასცემს გაცილებით ფართო წრეს (დახლოებით 4000 ახალგაზრდას, ქალისა და მამაკაცს).

პროექტის სამიზნე

ჯგუფები:

- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები,
- საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები,
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები,
- ახლო აზრის წარმომადგენლები,
- მედიის წარმომადგენლები,
- დეკიდები (სამჩაბლოდან) შედა ქართლიდან.
- სამხედრო მოსამსახურები,
- რელიგიური ლიდერები,

პროექტის რეგიონალური

დაფარვა

- თბილისი (2 ტრინიბი)
- გორი
- ბოლნისი
- ქუთაისი
- ზუგდიდი
- ბათუმი
- გურჯაანი





პურიკულუმის შესახებ

წინამდებარე კურიკულუმი წარმოადგენს სახელმძღვანელო მასლას მათთვის ვინც უნდა წარმართოს ტრენინგის პროგრამა გენდერული ძალადობის საკითხებზე. სახელმძღვანელოს მომხმარებლები პირველ რიგში იქნებიან პროგრამაში მონაწილე ტრენერები (განმანათლებლები), რომელიც თავის მხრივ ამ სახელმძღვანელოთი იქნებიან მომზადებულნი. სახელმძღვანელო-კურიკულუმის ავტორების მიზანი იყო თავი მოეყარა საქმარისად ვრცელი და მეორეს მხრივ, ადვილად გამოსაყენებელი მასალისათვის, რომელიც დაეხმარებოდა განმანათლებლებს თავისი მისის შესრულებაში. პროგრამის საბოლოო მიზანს კი წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის უფრო ფართო წრეებში გენდერული ძალადობის საკითხებზე ცოდნის გავრცელება.

ეველა, ვისაც გენდერული ძალადობის საკითხებზე უმუშავია, დაგვეთანხმება, რომ ადამიანთა საქციალური მოტივირების და მათი განწყობა-დამოკიდებულებების შეცვლის გარეშე ამ დანაშაულებრივ, მტანჯველ და ჩვენს საზოგადოებაში ჯერ ცუდად გაცნობიერებულ მოვლენაზე მუშაობა არაეფექტურია. ამიტომ სახელმძღვანელოს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული ნაწილებში აქცენტი ხშირად სწორედ ახალი დამოკიდებულების გამომუშავებაზე კეთდება.

პროგრამით მომზადებულ ადამიანებს ცოდნის შემდგომი გადაცემის პროცესში მოუხდებათ ფასილიტატორისა და ტრენერის უნარ-ჩვევების გამოყენება, ამდენად, პროგრამა “განმანათლებლების” ამ ფუნქციის შესაბამისი მარტივი უნარების განვითარებაზეც და მათი მეთოდებით აღჭურვაზეც არის ორიენტირებული.

ამრიგად, სახელმძღვანელო უპასუხებს სამ ძირითად მიზანს:

1. ცოდნის გადაცემა;
2. განწყობის შეცვლა;
3. უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ეს მიზნები მიიღწევა შესაბამისი თეორიული ჩართვების, თუ პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით. მეტაფორულად სასწავლო მიზანთა ეს სისტემა შეიძლება გამოისახოს სიტყვებით: “ვიცოდე”, “ვიყო” და “ვაკეთო”. ეს სქემა გასდევს მთელ სახელმძღვანელოს.



სახელმძღვანელოს მასალები შემდეგ ნაწილებს მოიცავს:

- ტრენინგის პროგრამა
- ძირითადი თეორიული ნაწილი
- ინტერაქტიული საგარჯოშოები და მათი ჩატარების ინსტრუქცია
- ივალსაჩინოებანი
- იემასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სტატისტიკა,
- დამსიკრიფიცირებული მომსახურებები.

სასწავლო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ მასალას გენდერული ძალადობის, გენდერის, ძალადობა-არაძალადობისა და მშვიდობის თემებზე, ისე სპეციალურად მომზადებულ საგარჯოშოებსა და აქტივობებს.

პროგრამა მოზრდილებისთვისაა გათვალისწინებული და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. სასწავლო პროცესში თითოეული თემის გადაცემა აქტივობაზეა დაფუძნებული. პროგრამაში მრავლადა დისკუსიები, როლური თამაშები, შემთხვევების შესწავლა და სხვ.



მირითადი საკითხები

- გამოცდილებაზე დაფუძნებული
სრავლების პრინციპები
- გენდერი, გენდერული თანასწორობა,
გენდერული სტერეოტიპები
- ქალადობა, გენდერული ქალადობა,
არაქალადობის პონდევცია
- ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები




გამოცდილებაზე დაზუმნებული სრავლება და ტრენინგი

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების იდეა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოდის. მისი ფუძემდებელი - დენის კოულბი - იმ თეორიული მოდელის ავტორია, რომელიც განმარტავს, თუ რატომ არ უნდა დაემჟაროს სასწავლო პროცესი მხოლოდ ლექციებს, არამედ გამოიყენოს როლური (ან სხვა სახის) თამაშები და რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების სიმულაციები. მეტიც, იგი მასწავლებლებს/ტრენერებს ამგვარი გამოცდილების გამოყენების რეალურ ცხოვრებაში ძიებისაკენ უბიძგებდა.

გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციები თავდაპირველად მართლაც გარდატეხა იყო განათლებას სფეროში. კოულბისათვის (1984) ამოსავალი დებულება ის იყო, რომ სწავლის პროცესი მხოლოდ განზოგადებულ კონცეფციებს, მზა განსაზღვრებებსა და უშუალოდ მიღებულ ინფორმაციას არ ეფუძნება. ადამიანი პრაქტიკითაც სწავლობს, დაკვირვებითაც და, გარდა ამისა, ცდილობს, ნასწავლი ისევ პრაქტიკაში გამოსცადოს. მხოლოდ ცოდნის (იგულისხმება თეორიული (ცოდნა) ათვისება საქმარისი არ არის.

**დ. ა. კოულბის
დასწავლის ციკლი
ტრენინგის პროცესში**

(ჯ. ვან დერ
ალსტის მიხედვით)



კოლბის სწავლის ციკლი ოთხ კომპონენტს მოიცავს:

გამოცდილება (წარსული ან ახალი გამოცდილება, პრაქტიკული აქტივობით შეძენილი);

რეზისუატობა (მიღებული გამოცდილების ანალიზი, რისი სწავლა შეიძლება ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, რა აზრი უნდა გამოვიტანოთ, რას გამოვიყენებდით, ყოველივეს გააზრება);

დასკვნა (მიღებული ცოდნის არსებულ სისტემაში ჩართვა);

მშავრიმონტირება (გამოცდილების გამოყენება, ახალი უნარ-ჩვევების რეალობაში გამოცდა, შემდგომი ნაიჯების დაგეგმვა).

გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლების პროცესს წამყვანსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის სრულიად განსხვავებული სტილი ახასიათებს.

ტრენინგის დროს, დაქციებისა და გამოცდებისაგან განსხვავებით, უპირატესობა პრაქტიკულ საგარჯიშოებს (როლურ თამაშებს, სიმულაციებს და სხვ) და ჯგუფურ მუშაობას ენტეგრაცია. აქტიურობს/საუბრობს უმთავრესად მონაწილე და არა ტრენერი. მონაწილეებს შორის ინტერაქცია გაცილებით საინტერესოა, ვიდრე მონაწილის პირდაპირი ინტერაქცია ტრენერთან. ტრენინგის მონაწილის უკუკავშირი და შეხედულებები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც წამყვანის. იმისათვის, რომ თითოეული მონაწილის ურთიერთობა ჯგუფის დანარჩენ წევრებთან გაადგილდეს, მათ ერთმანეთის თვალებში შეძლონ ჩახედვა, მონაწილეობა რაოდენობა დაახლოებით 15 ადამიანი უნდა იყოს.

მუშაობის გარემოც განსხვავებულია. არსებობს მონაწილეობა განლაგების სხვადასხვა ვარიანტები (უფრო ხშირად, ეს არის ნახევარი წრე ან ნალის ფორმის განლაგება, მაგიდების გარეშე) ძალიან ხდება ჯგუფის დაყოფა წყვილებად, ან 3-5-კაციან მცირე ჯგუფებად, რაც ზოგჯერ მეტ სივრცეს მოითხოვს, რათა მონაწილეებს მუშაობაში, პრაქტიკაში, ერთმანეთისათვის უკუკავშირის მიცემაში არ შევმაღლოთ ხელი. მცირე ჯგუფში მუშაობისას მათ უსაფრთხო, ინტიმური გარემო უნდა ჰქონდეთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართული ტრენინგის პროცესში. ტრენერი მგრძნობიარე უნდა იყოს და რეაგირებდეს ჯგუფში მიმდინარე პროცესებზე. ამავე დროს, უნდა ისაუბროს მონაწილეებთან იმის თაობაზე, თუ რა ხდება და წაახალისოს მათი აქტიური მონაწილეობა. არსებობს მეთოდები, რომელიც ყოველივე ამას ემსახურება. გარდა სასწავლო დანიშნულების საგარჯიშოებისა, არსებობს სპეციალური, მამოტივებელი აქტივობებიც - “ყინულის გაღდობის საგარჯიშოები” და კ.წ. “გასამხნევებელი საგარჯიშოები”. პირველი გამოიყენება ტრენინგის ან ბლოკის დასაწყისში განტვირთვისა და გარკვეულ ტონალობაზე აწყობის მიზნით. გასამხნევებელმა საგარჯიშოებმა მონაწილეები უნდა “გამოაცოცხლოს”, დადღილობისას ახალი ენერგიით დატვირთოს, დაექმაროს მათ ყურადღების კონცენტრაციაში, როდესაც იგი დაქვეითებულია. კველა ეს ტექნიკა ნდობის



ატმოსფეროს შექმნას, გააქტიურებას, ენერგიის მომატებასა და შესუსტებული უურადღების მობილიზებას ემსახურება.

გარდა ამისა, თამაშები, სტრუქტურულებული დისკუსიები (დამყარებული „ქრიტიკულ შემთხვევებზე“ ან სხვა მასტიმულირებელ იმპულსზე – ფილმი, ტექსტი, სურათი, მუსიკა, მოძრაობა, ცეკვა, და ა.შ.), სახწავლო პროცესს მნიშვნელოვნად ამდიდრებს.

ტრანიგზი გამოყენებული სხვა მეთოდები

ტრენინგის მსგავსობისას არა მხოლოდ თამაშების, არამედ სხვადასხვა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებაც ხდება, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ტრენინგი საინტერესო და დინამიკური იყოს.

ლექცია – სწავლების კარგად ცნობილი, ტრადიციული მეთოდია.

ინტერაქციული სწავლების დროს ამ მეთოდის გამოყენების თავისებურება ისაას, რომ მაქსიმალურად წახალისებულია უკუკავშირი (კითხვები, კომენტარები) და მისი ხანგრძლიობა 15 წუთს არ უნდა აღმატებოდეს. ლექციის გასახალისებლად გამოიყენეთ ვიზუალური საშუალებები: სურათები, ცხრილები, გრაფიკები..

პრაზენტაცია, მასალის ან ნამუშევრის წარდგენა – ტრენინგის დროს ტრენერსაც უხდება და მონაწილეებსაც. ტრენერი წარადგენს თეორიულ საკითხს ან სქემას, ხოლო მონაწილეები – ინდივიდუალური, ან ჯგუფური მუშაობის შედეგებს.

ამა თუ იმ მასალის წარდგენისას მნიშვნელოვანია პრეზენტაციის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება:

- წინასწარ კარგად დაგეგმეთ პრეზენტაცია;
- გაითვალისწინეთ აუდიტორია;
- იყავთ მსმენელზე ორიენტირებული;
- ისაუბრეთ მსმენელისათვის გასაგებ ენაზ;
- წახალისეთ შეკითხები;
- გამოიყენეთ თვალსაჩინოება და სხვ.

ღისძუსია – დისკუსია ტრენინგის დროს რთულ საკითხებზე მსჯელობისას გამოიყენება. შეიძლება გამოიყოს დისკუსიის რამდენიმე სტადია:

- განსახილებელი საკითხის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრებების იდეების შეგროვება (ამ სტადიას ეწოდება გაფართოება)
- წინადადებების კლასიფიკაცია (დაჯგუფება) და რანჟირება (ამ სტადიას ეწოდება შეკიტროვება)
- დასკვნები (გადაწყვეტილების მიღება).



მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის წარმართვა საქმაოდ მარტივ პროცესად აღიმება, ტრენერი უნდა ფლობდეს გარკვეულ უნარებს და სხვადასხვა მეთოდებს, რაც მას სამივე ეტაპის ეფექტურად განხორციელებაში დაეხმარება.

მცირე ჯგუფებში მუშაობა – მცირე ჯგუფებში მუშაობა ტრენინგის დროს სხვადასხვა მიზნით ხორციელდება. კარგია ამ მეთოდის გამოყენება, როდესაც პარალელურად რამდენიმე საკითხის გადაწყვეტა გვიჩდა, ან ჯგუფური აზრის შექმნა გვსურს, ან გვიჩდა, რომ საკითხი რამდენიმე მცირე ჯგუფში განიხილებოდეს პარალელურად. ამ დროს ყველა მონაწილეს აქვს აზრის გამოთქმის საშუალება. თუ ტრენინგში ათ კაცზე მეტი მონაწილეობს, მაშინ მცირე ჯგუფებში მუშაობა ტრენინგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ხდება. მცირე ჯგუფის მონაწილეობა ოპტიმალური რაოდენობაა 3-7 ადამიანია.

რამდენიმე რჩევა მცირე ჯგუფებად დამოვისათვის

მონაწილეების მცირე ჯგუფებად დაყიდვა შესაძლოა მათვე მიზნებით და ზოგჯერ ეს არ არის ცხეო. მაგრამ ხდება ხოლომ, რომ ის მონაწილეები ჯგუფდებიან, ვინც ისევდაც მუშაობობს, ხოლო ხევები იხოლეთ გრძელებულად გრძელებებ თავს. ამ შემთხვევაში დროი მეტი გვეხსარჯება.

Formatted: Font: Italic, Font color: Teal, Slovak

შეიძლება გავითვალით და ნუმერაციით (შემთხვევით შერჩევით) დავყოთ ჯგუფები. ასეთ შემთხვევაში მუდამ ერთად მჯდომარეობის სხვადასხვა ჯგუფებში ვაჟრთანებება გამოვლენის, მაგრამ ესევცა, რომ ზოგიერთი მონაწილე დაბურდი დარბის და ეძებს თავის ჯგუფს.

ქვემოთ მოტანილია ჯგუფებად დაყოფის რამდენიმე კომპრომისული გარიანტი, ხადაც არც სტიქერი დაყიდვა ხდება და არც – მუშანისური.

ტვინის შტურმი

ჯგუფის მუშაობისას ტვინის შტურმი იდეების შეგროვების ყველაზე მნიშვნელოვანი და შემოქმედებითი მეთოდია. შეხვედრის დროს იგი თავიდან აგვაცილებს რომელიმე პიროვნების დომინანტური და იდეების ბლოკირების პრობლემას. მეთოდი გამოსაღებია თითქმის ყველა სახის პრობლემის გადასაჭრისათვის.

ტვინის შტურმის ძირითადი ზესხი

- არავითარი პრიტიპა** - ერიტიპა და შეფასება მოხდება მოგვიანებით. თავიდან მნიშვნელოვანია მხოლოდ იდეების რაოდენობითი პროდუქცია. არსებითია, რომ იდეების ნაკადი არ შეფერხდეს. დრო არ უნდა იყარგებოდეს არგუმენტებზე, მობოლიშებაზე, ვერბალურ და არავერბალურ კრიტიკასა და თვითგრიტიკაზე, რაც მონაწილეობა იდეების ნაკადის ბლოკირებას იწვევს.



2. **რაოდენობის, ხარისხზე ვინ დაჭვნება** - რაც უფრო მეტი იდგა იქნება, მით მეტია იმისი ალბათობა, რომ მათ შორის ოპტიმალური მოინახება.
3. **ასოციაციების თავისუფალი მიმღინარეობა** - სასურველია აზრთა თავისუფალი მიმღინარეობა. რაც უფრო ძალდაუტანებელია იდეები, მით უკეთესი. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული იყოს ყველა ინიციატივა, როგორც ექსპერტების, ასევე არასპეციალისტებისა.
4. **სხვის იდეების შემღომი განვითარება** - ტვინის შტურმი გუნდური მუშაობაა. სხვების იდეების ატაცება და შემღომი განვითარება, არა მხოლოდ დაშვებულია, არამედ ძალზე სასურველიც.

ტვინის შტურმი სამ პირითად უაზად იყოფა:

I. მოზადების უაზა

- 5-7 (მაქსიმუმ 15) ისეთი მონაწილის მოწვევა, რომლთაც განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება აქვთ;
- პრობლემის განსაზღვრა;
- მონაწილეთა დროული მოწვევა ადგილის, დროის და პროცესის ხანგრძლიობის მითითებით;
- შეკრებისათვის ოთახის მომზადება;
- სამუშაო საშუალებების მომზადება (წენარი ოთახი, სკამები, ფლიპ-ჩარტი, მარკერები, გამაგრილებელი სასმელები და სხვა).

II. მიმღინარეობის უაზა

- პრობლემის წარდგენა;
- იდეების დაფიქსირება შეთავაზებული ოთხი წესის შესაბამისად;
- იდეების შეგროვების ხანგრძლიობა 30წთ-ზე მეტს არ უნდა აღემატებოდეს;
- შეკრების მიმღინარეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მშვიდი ატმოსფერო.
- წამყვანი იწერს გამოთქმულ იდეებს. როდესაც ერთი ფურცელი შეიგსება, იგი უნდა დაიკიდოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, რათა ახალი იდეები მუდმივად თვალწინ დარჩეს. იდეების დაფიქსირება რაიმე სხვა ფორმით (მაგ. ხმის ჩაწერი მოწყობილობა, სტენოგრაფირება და სხვა) რეკომენდირებული არ არის.
- ტვინის შტურმის დროს წამყვანის ამოცანებია:
 - წესებისა დაცვა;
 - დაძაბულობისა და დიზარმონიის გაწონასწორება;
 - იმპულსის მიღება (მაგ. კითხვების დასმით), იდეების ნაკადის შესუსტების შემთხვევაში.



III. დამუშავების ზახა

ხდება გამოთქმული იდეების დამუშავება და დალაგება. იკვეთებარამოდენიმე კატგორიის იდეები:

- უშუალოდ გამოყენებადი იდეები
- იდეები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს
- გამოუსადეგარი იდეები

სასარგებლო აღმოჩნდა ტვინის შტურმის მომდევნო დღეს შეგრების წევრებისათვის იდეების წარდგენა. გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირად, არსებული ჩამონათვალი ახალი იდეებითა და მოსაზრებებით იცხება.

შესაძლო შეცდომები ტვინის შტურმის მიმღიღერებისას:

- მორიდებული ადამიანები, რომელთაც ხშირად ორიგინალური იდეები აქვთ, ჩუმად არიან;
- პროცესი, იდეების ნაკადის პირველივე შეფერხებისას წყდება;
- მონაწილენი საკუთარ აზრს ვრცლად ყვებიან;
- დგბა იდეების არასრული ჩამონათვალი, ან იწერება მხოლოდ საკვანძო სიტყვები.

ტრენინგის პროგრამის აუცილებელი პომპონები

1. მონაწილეთა გაცნობას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთის მხრივ, მონაწილეები ეცნობიან ერთმანეთს, მეორეს მხრივ, ამ გზით ტრენინგზე კეთილგანწყობილი და ღია ატმოსფერო ყალიბდება.
2. მოლოდინების გარევევა ტრენერს ეხმარება იმაში, რომ მან ზუსტად დაადგინოს, თუ რას მოელიან მონაწილეები ამ ტრენინგისგან, რისი შესწავლა სურთ. მოლოდინები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ურთიერთობა, ადამიანების გაცნობა, რაღაც კონკრეტული ცოდნის შექმნა.
3. ერთობლივი მუშაობის წესების განსაზღვრა – ეს ინტერაქტიული მეთოდების კიდევ ერთი სპეციფიკური ნაბიჯია. ტრენინგის შესაგალ ნაწილში ამ კომპონენტის უგულებელყოფა, შესაძლოა, მოგვიანებით საკმაოდ სერიოზული გაუგებრობის მიზეზი გახდეს. ზოგიერთი ტრენერი წესებს თვალი სთავაზობს. ეს, ერთი მხრივ, დროს დაგიხოგავთ, მაგრამ ხიფათიც არსებობს – მონაწილეები დიდი მონდომებით არღვევენ სხვის მიერ დადგენილ წესებს. ამიტომ უმჯობესია მათი ერთობლივი შემუშავება.
4. ტრენინგის დასკვნითი ნაწილია შეფასება.

ჯგუფთან მუშაობის ზოგადი წესები ზასილიტატორთათვის

- ჯგუფის მართვისათვის შეიმუშავეთ და გამოიყენეთ “ჯგუფის ხორმები”



- გახსოვდეთ, რომ არც ტრენერია მკაცრი მასწავლებელი და არც ტრენინგის მონაწილე – სკოლის მოსწავლე
- გაითვალისწინეთ, რომ ჯგუფში ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელი არის ტრენერი
- გახსოვდეთ, რომ ტრენერს/ფასილიტატორს მონაწილეობა მიმართ აგრესისა და უპატივცემულობის გამოვლენის უფლება არ აქვს
- შეეცადეთ, ბოლომდე მიიყვანოთ წამოწევებული საქმე (ტრენინგი, სემინარი) და დასახულ მიზანს მიაღწიოთ

პირველი რამდენიმე რჩევა:

- აქტიურად მოუხმინეთ მონაწილეებს;
- გამოხატეთ ინტერესი და აატივისტება თითოეული მონაწილისა და მისი იდეებისადმი;
- თუ თქვენით ვერ უძლავდებით სიტუაციას, მოშეველით ჯგუფის აზრი, სემინარზე მოსული ხალხის დიდ ნაწილს სურვილის მუშაობა და მათაც აღიზიანებთ ის ადამიანები, კინც ხელს უშლის ამ პროცესის მიმღინარეობას;
- ხშირად გამოიყენეთ იურიდიული სიტუაციების განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

ტრენერების ბუნდური მუშაობა

ტრენინგის ჩატარება საკმაოდ რთული საქმეა და ტრენერს ბევრ მოთხოვნებს უყენებს. თუ თქვენ მარტო მუშაობთ, მაშინ ერთდროულად ძალზე ბევრი როლის შესრულება გინევთ: ტრენერის, ჩამწერის, კომენტატორის, დიზაინერის, მენეჯერის, ორგანიზატორის, ექსპერტის, შოუმენის და ა.შ.

თუ ტრენერები გუნდურად მუშაობენ, მაშინ ხდება ამ როლების გადანაწილება (რა თქმა უნდა, თუ ნამდვილ გუნდთან გვაქვს საქმე და არა უბრალოდ ადამიანების ჯგუფთან).

აარგია, თუ ისეთი პარტნიორი გყავთ, რომელსაც თქვენი აარგად ესმის, ფსიქოლოგიურადაც შეგეხსაბამებათ და ძალიან გიადვილდებათ მასთან ერთად მუშაობა. რეალურ ცხოვრებაში ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია, თუმცა ამგვარი პარტნიორობის გამონახვა პრინციპი შესაძლებელია.

ტრენინგის მრთობლივად ჭარვანის დროს:

- ერიდეთ ურთიერთობების გარემონას ჯგუფის თვალწინ
- ნუ შეაწყვეტინებთ ერთმანეთს საუბარს
- ერთად ნუ დადგებით დაფასთან, თუ, რა თქმა უნდა, ამის აუცილებლობა არ არის
- ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, თუ რაიმე ისე არ გამოდის, როგორც დაგმეტ
- არ მიიღოთ გადაწყვეტილება პარტნიორთან შეთანხმების გარეშე
- ნუ დაარღვევთ წინასწარ მიღებულ შეთანხმებას



ტრენინგის ერთობლივი მუშაობა საგრძნობლად ზრდის ტრენინგის ეფექტურობას. გარდა იმისა, რომ ხდება სამუშაოს განაწილება, ტრენინგიც უფრო მსუბუქი და საინტერესო გამოდის, რადგან საუბრის განსხვავებული მანერა და საკითხის მრავალმხრივი წარდგენა გაცილებით მიმზიდველია და ნაკლებად დამდლელი.



გენდერი

რა არის გენდერი

”გენდერი” ინგლისური სიტყვაა. ადრე იგი მხოლოდ გრამატიკაში გამოიყენებოდა, სადაც აღნიშნავდა არსებით სახელთა სქესს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნება ”გენდერი” შემოვიდა ხმარებაში სოციალურ მეცნიერებებში, რათა აღნიშნულიყო ქალისა თუ მამაკაცის ფუნქცია სოციალურ და კულტურულ გარემოში. გენდერის გასაგებად აუცილებელია, გავმიჯნოთ იგი ცნებისაგან ”სქესი”.

რას ქამარი სქმი და გენდერი

სქმი ეხება ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიურ ატრიბუტებს. ადამიანები იძალებიან მამაკაცებად ან ქალებად და ეს განაპირობებს იმას, რომ მათ შეუძლიათ მაგ: იმშობიარონ, ასწიონ უფრო მძიმე საგნები, ძუძუთი კვებონ, იმდერონ უფრო მაღალ რეგისტრში და ა.შ. ამიტომ ვამბობთ, რომ სქესი ბიოლოგით განისაზღვრება.

გენდერი ეხება შეხედულებებს, მოლოდინებსა და წესებს ქალებისა და მამაკაცებისათვის. იგი სოციალურად არის განპირობებული: ადამიანები იძალებიან ქალებად ან მამაკაცებად, მაგრამ მათ ასწავლიან და მათგან მოედიან, თუ როგორ უნდა მოქცენ, რა თვისებები განივითარონ, რა ადგილი უნდა დაიკავონ ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობები იქონიონ, რა წესებს დაემზილონ და ა.შ. ამ შეხედულებების გადამცემია ოჯახი, ავტორიტეტული ადამიანები, რელიგიური და კულტურული დაწესებულებები, სკოლა, მედია, თანატოლთა წრე და სხვა, ადამიანის სოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები და ინსტიტუტები.



გენდერი სოციალურ-კულტურულ გარემოში ყალიბდება (ზოგჯერ ამბობენ, რომ გენდერი იქმნება ან “კეთდება”) და წარმოადგენს თვისებების, სოციალური ქცევების, როლებისა და სტატუსების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრულია ქალისა და მამაკაცისთვის კონკრეტულ საზოგადოებაში. გენდერში ასევე იგულისხმება შეხედულებები ქალურობისა და მამაკაცურობის შესახებ;

ნასწავლი ქცევა ქმნის გენდერულ იდენტობას და განსაზღვრავს გენდერულ როლს. გენდერულ როლებზე მოქმედებს: ასაკი, ეთნიკური კუთხითილება, სოციალური კლასი, ეკონომიკური პირობები, რელიგია.

გენდერული როლები ქალებისა და მამაკაცებისთვის საკმაოდ განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში და ასევე ერთი კულტურის (საზოგადოების) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. ამასთან, კულტურა იცვლება, იგი დინამიკურია, იცვლება სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც, ამდენად, იცვლება გენდერიც.


საინტერესოა, რომ, მიუხედავად კულტურათა განსხვავებისა, მათ უმრავლესობაში გაბატონებულია მამაკაცთა დომინირების სისტემები (პატრიარქალური წეობა), ამიტომ გენდერული როლები ასიმულირებულია და არათანასწორი და მამაკაცთა პრივატულურებული, ხოლო ქალების მეორებისარისხოვანი პოზიციების გამომხატველია. თუმცა ორივე პოზიციას თავისი პრობლემები აქვს და ამას ქვემოთ განვიხილავთ.

მცდარია, გავაიგივოთ გენდერი მხოლოდ ქალების საკითხთან. მის ფოკუსში თრივე ხქისა და მათი ურთიერთობიმართება ეჭვია. გენდერი წეიტრალური ცნებაა და არ გულისხმობს კარგს ან ცუდს, რამედ წარმოადგენს სოციალური პროცესების გაგების და კლასიფიკაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

გენდერი გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ: როგორაა განაწილებული ძალაუფლება, ვინ დომინირებს და ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, ვინ არის კულტურაში “უზინარი”, ვინ ხდება დისკრიმინაციის ან ძალადობის ობიექტი და ა.შ.

განსხვავება გენდერსა და სქეს შორის

როგორც ვთქვით, გენდერი წეიტრალური ცნებაა და, თავისთვად, არც თანასწორობას მოიაზრებს, არც უთანასწორობას. რაც შექება გენდერულ მიღგომას, იგი ნამდვილად არ არის





ნეიტრალური და მკაფიოდ ორიენტირებულია, ჩამოაყალიბოს და განამტკიცოს პიროვნების თვითორეალიზაციის თანასწორი და სქესისგან დამოუკიდებელი შესაძლებლობები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გენდერული თანასწორობის საკითხი ამ მიღებობისთვის უპირატესია. გენდერული მიღებობის გამოყენება გულისხმობის ორივე სქესის პრობლემების და მოთხოვნილებების მუდმივ გათვალისწინებას, ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებისა თუ მსგავსების, მამაკაცებს და ქალებს შორის ურთიერთობის დანახვასა და შესწავლას.

რატომ უნდა ვიმუშავოთ გენდერული მიღებობით? ამაზე სამი ძირითადი არგუმენტი არსებობს:

- 1. ადამიანის უფლებები** – როგორც მამაკაცისათვის, ისე ქალისათვის ადამიანის უფლებაა, თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს შესაძლებლობები და რესურსები, მათი განსხვავებული მოთხოვნილებები მხედველობაში იყოს მიღებული, მათ დირსეულად მოექცნენ და ისინი არ იყვნენ დისკრიმინირებულნი.
- 2. განვითარება** – ადგენს რა ქალისა და კაცისთვის ქვევის, თვისებების, პროფესიების და მისწრაფებების მისაღებობის და მართებულობის მკაცრ საზღვრებს, გენდერული ნორმები და სტერეოტიპები ზღუდავს მამაკაცებისა და ქალების პოტენციალის სრულ რეალიზაციას და მათი უნარებისა და მიღრეკილებების მიხედვით განვითარებას. ეს, თავის მხრივ, საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად აისახება.
- 3. ეფექტურობა** – გენდერული მიღებობის გარეშე შეიძლება დაიკარგოს მრავალი შემოქმედებითი იდეა, თუ არ იქნება გათვალისწინებული ქალებისა და კაცების განსხვავებული მოთხოვნილებები, მაგალითად, პრობლემათა ”ქალური” გადაწყვეტის გზები.

რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მატერიალურ კეთილდღეობას, თანაბარ შესაძლებლობებს, ისეთ დირებულებებს, რომლებიც ემყარება ადამიანთა თანასწორობის რწმენას, თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და თანაბარ კონტროლს რესურსებსა და მოგებაზე.

თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალები და მამაკაცები ერთნაირები უნდა გახდნენ, ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ადამიანი ქალად დაიბადა თუ მამაკაცად.



თანასწორობას რაოდენობრივი და თვისებრივი მხარე აქვს. რაოდენობრივი ასპექტი ნიშნავს ქალებისა და მამაკაცების რაოდენობრივად თანაბარ განაწილებას საზოგადოებრივი ფუნქციონირების ყველა სფეროში, ანუ იმ მდგომარეობას, როდესაც დაცულია ქალებსა და მამაკაცებს შორის რაოდენობრივი წონასწორობა, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების, ძალაუფლების, უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ განხორციელებას. მაგალითად, თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში.

თანასწორობის **თვისებრივი ასპექტი** ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა ცოდნას, გამოცდილებასა და დირექტულებებს, თვით ქალურობასა და მამაკაცურობას, თანაბარი წონა ეძლევა.

გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს მხოლოდ ქალების ინტერესების დაცვას, არამედ – ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული მოთხოვნილებებისა და ინტერესების გაცნობიერებას.

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს საყოველთაო ღირებულებას, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს და დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს. გენდერული თანასწორობის მოთხოვნა ხაზგასმულია საერთაშორისო დოკუმენტებში.

რა უშლის ხელს ბენდერული თანასწორობის განხორციელებას?

გენდერული თანასწორობის განხორციელებას აფერხებს გენდერულად უთანასწორო იდეებისა და პრაქტიკის არსებობა ადამიანთა არსებობისა და მოქმედების სხვადასხვა სფეროებში.

იდეების ქვეშ ვგულისხმობთ სტერეოტიპულ აზრებს, შეხედულებებს, რომლებიც გამჯდარია ადამიანთა გონებაში, თავმოყრილია წიგნებში, ანდაზებში, სიმღერებში და რომლებიც გაერთიანებულია ე.წ. "ფარულ" ან "აშკარა" გენდერულ იდეოლოგიაში. აშკარა გენდერული უთანასწორობის იდეოლოგიის მაგალითია ზოგიერთი რელიგიური შეხედულება ქალის არასრულფასოვნებაზე თუ მის მეორებარისხოვან და დამორჩილებულ როლზე.

ბენდერული სტერეოტიპები

გენდერული სტერეოტიპები ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებებია ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა და სოციალურ ფუნქციებზე.



რაც უფრო ტრადიციულია საზოგადოება, მით უფრო ძლიერია გენდერული სტერეოტიპების როლი. ქალისა და მამაკაცის თვისებები და მათ მიერ შესრულებული როლები მკაცრად არის განსაზღვრული და ერთიმეორის საპირისპიროდ მიიჩნევა.

როგორია გენდერული სტერეოტიპების შინაარსი? გენდერული სტერეოტიპები მიგვითოთებს იმაზე, რომ **ქალის** ადგილი სახლშია, ხოლო მამაკაცისა – **სახლს** გარეთ; რომ ქალი უნდა იყოს რბილი, დამთმობი, მზრუნველი, რომ მას არ შეუძლია, წარმატებით მართოს და უხელმძღვანელოს დიდ საქმეს, რომ მას ევალება მხოლოდ წვრილმანი, ყოველდღიური საქმის შესრულება, რომ ის კარგი შემსრულებელია, მაგრამ არა შემოქმედი, რომ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები მამაკაცისას ჩამოუვარდება. ქალის მოვალეობაა, თავი მოაწონოს მამაკაცს, შეასრულოს რეპროდუქციული ფუნქცია (დაბადოს და გაზარდოს რაც შეიძლება მეტი შვილი), იზრუნოს ქმარზე, საკვებზე და სისუფთავეზე.

სტერეოტიპების თანახმად, **მამაკაცი** აგრესიული და უხეშია, აზროვნებს ლოგიკაზე დაყრდნობით, სწრაფად და ეფექტურად იღებს გადაწყვეტილებებს, არის უფრო ნიჭიერი, შემოქმედებითი, უყურადღებო და ნაკლებად ემოციური, შეუძლია პრობლემის არსის დანახვა და არ წვრილმანებება დეტალებზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, თავისუფალი დრო, გართობა, გადაადგილების თავისუფლება, აგრესიულობის გამოხატვა, ინტელექტუალური საქმიანობა და ყოველდღიურობისგან გათავისუფლება – მამაკაცის პრეორგატივაა. ამასთან, სტერეოტიპი გვუძნება, რომ ასეთი გითარება ბუნებრივია, ყოველთვის ასე იყო და იქნება.

სტერეოტიპულ აზროვნებას საფუძველი ეყრება აღზრდის დროს, როდესაც ბიჭებს და გოგონებს ძველი წარმოდგენებით განხევებულ და არათანასწორ ადამიანებად ვწრდით.


საზოგადოება, რომელიც გენდერული სტერეოტიპებით იმართება, მრავალ შეზღუდვას უქმნის ქალებსა და მამაკაცებს იმაში, რომ იმოქმედონ ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, მათი ადამიანური უფლებების შედახვაა. ამიტომ მიზანშეწონილია, გაცნობიერდეს სტერეოტიპები და გარკვეული სტრატეგიები იქნას მიმართული მათ და-საძლევად.

გენდერული სტერეოტიპები უქმნის საფუძველს **სექსიზმს**, ანუ ადამიანთა დისკრიმინაციას მათი სქესის საფუძველზე. ეს ცნება შეიქმნა **რასიზმის** (დისკრიმინაცია რასობრივი კუთვნილების საფუძველზე) და **ეიჯიზმის** (ხანდაზმულთა უფლებების დარღვევა ან შეზღუდვა) ანალოგით. სექსიზმის ობიექტი შეიძლება გახდეს როგორც ქალი, ისე კაცი, მაგრამ მამაკაცთა დომინირების საზოგადოებებში სექსიზმის ადრესატი, როგორც წესი, ქალია. სექსიზ-



შედის ქალისადმი დამამცირებელი და დამაკნინებელი მოპყრობა, ქალის მნიშვნელობის და წვლილის გაუფასურება, ქალთა უფლებების შეზღუდვა.

ე.წ. “სიძულვილის პირამიდის” მოდელი გვეუბნება რომ ყოველგვარი ძალადობა ჯერ უთანასწორობაზე აგებული სტერეოტიპებიდან იწყება.



სტერეოტიპები აზროვნებით მივდივართ, თუმა ამას წინ არ აღვუდგებით.

გენდერული ძალადობის აღმოფხვრაზე ორიენტირებული განათლების მიზანია შეცვალოთ აზროვნების მოდელები და პირამიდის ყველაზე დაბალ დონეზე შევუშალოთ ხელი ძალადობის შემდგომ განვითარებას.

გენდერული ძალაუფლება

გენდერული უთანასწორობა ძირითადად გამოიხატება ძალაუფლების არათანაბარ განაწილებაში. რა არის ძალაუფლება? ეს არის უნარი, ჩამოაყალიბო პირადი მიზნები და მოახდინო გავლენა სხვებზე, რათა ამ მიზნებს მიაღწიო. ეს არის შესაძლებლობა, შეინარჩუნო, რაც გაქას და მოახდინო გავლენა მოვლენებზე საკუთარი ინტერესების საპასუხოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალაუფლება გულისხმობს გავლენას და კონტროლს მოვლენებზე და სხვებზე.



ბოროტად გამოექნებული ძალაუფლება საშუალებას იძლევა, აკონტროლო და შეზღუდო სხვათა უფლებები და თავისუფლებები, შეაფერხო მათი განვითარება და მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში და ა.შ. ეს კი იწვევს ამ სხვათა (მაგალითად, ქალების, ეროვნული ან რელიგიური უმცირესობათა) სოციალურ მარგინალიზაციას და დასუსტებას.

ძალაუფლება საზოგადოების დომინანტური ჯგუფის ხელშია თავმოყრილი. დომინანტური ჯგუფი აწესებს სტანდარტებს, მოვლენებს თავისი



პერსპექტივიდან აფასებს, თავის უპირატესობაშია დაწმუნებული, აკონტროლებს, ახორციელებს თავისიგე შექმნილ კანონებს, სჯის ან წახალისებს, მდიდრდება და ძლიერდება.

ძალაუფლება შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახული. ძალაუფლების სხვადასხვა სახეებია:

სოციალური ძალაუფლება (კლასი, უფრო მაღალი სტატუსის ჯგუფი);

- ეპონომიკური ძალაუფლება;
- პოლიტიკური ძალაუფლება;
- ფინიკური ძალაუფლება;
- გენდერული ძალაუფლება;
- ასაძრე დაფუძნებული ძალაუფლება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ძალაუფლების მქონე შეიძლება გახდეს მოძალადე, თუკი ის ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენება.

რა არის ძალადობა

სინონიმები: აგრესია, ძალმომრეობა,
სახტია მოპყრობა, შეურაცხოვა,
იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა.

რა არის ძალადობა და ვის მიმართ
ხორციელდება იგი?



ძალადობის ბევრი განმარტება არსებობს,
მაგრამ საზოგადოდ, ეს არის ძალის გამოყენება ადამიანისათვის ზიანის
მიენების, მისი განადგურების, ტანჯვის მიზნით.

ძალადობა შეიძლება იყოს ქმედება ან სიტყვა. ძალადობა ანგრევს, აზიანებს და შეურაცხოვს ადამიანს. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახელია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.

რა თქმა უნდა, ძალადობა შეიძლება განხორციელდეს არა მარტო ადამიანის მიმართ. ძალადობის მსხვერპლი სშირად ხდება დაუცველი ცხოველი ან ბუნება. სასტიკი მოპყრობა განსაკუთრებით საზარელია, როდესაც მას სუსტი და დაუცველი არსებების მიმართ სჩადიან. როგორც წესი, სწორედ ასეც ხდება.

ძალადობას განვრცობა/გაფართოების ტენდენცია ახასიათებს –
ძალადობა ძალადობას ბადებს. ძალადობით განიმსჭვალება მთელი
საზოგადოება. ასე იქცევა ძალადობა ნორმად.



ძალადობის თავიდან ასარიდებლად, პირველ რიგში, აუცილებელია არსებული ძალადობისა და მისი განხორციელების ინსტრუმენტების ანალიზი.

306 ახორციელებს ძალადობას

ძალადობას შეიძლება ახორციელებდეს ერთი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან მთელი საზოგადოება. მათი ძალადობრივი ქცევა შეიძლება მეორე ადამიანს ან ადამიანთა სხვა ჯგუფს ეხებოდეს.

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით უოველგვარი ძალადობა დაუშვებელია. მას კრძალავს და სჯის კანონი.


მიუხედავად ამისა, ჩვენ გარშემო მაინც ბევრია ძალადობა. ძლიერი ძალადობს სუსტზე, უფროსი – უმცროსზე, მაღალი სოციალური მდგრმარეობის მქონე – თანამდებობის პირი ან მდიდარიძალადობს დაუცველზე და ღარიბზე, აგრესიული – არააგრესიულზე და ა.შ.

ძალადობას ასევე სხადის ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ ძალადობა ცუდია; ან არ იცის, რომ ის, რასაც ის სხადის – ძალადობაა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ცოდნა ძალადობის შესახებ.

ძალადობის ტიპები

ადამიანისათვის ზიანის მიყენების სხვადასხვა გზები არსებობს.

- **ზოზიპური** ძალადობაა ძალადობის ტიპებს შორის ყველაზე თვალსაზინოა. ძალადობის ამ ტიპს შეუძლია შეაფეროს, შეაჩეროს, ფიზიკურად დააზიანოს ან გაანადგუროს ადამიანი.
- **ჰსიმოლოგიზრი** ძალადობაც ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ადამიანების ურთიერთობაში, რომელიც უფრო დაფარულია მაგრამ არანაკლებ მძლავრი. იგი მიზნად ისახავს ადამიანის გონებასა და გულზე ზემოქმედებას და ხშირად ადამიანის გონებრივ და სულიერ ტანჯეას, შიშას და სიძულვილს იწვევს.
- **სტრუქტურული** ძალადობა განსხვავდება ზემოთ აღწერილი ორი ტიპის ძალადობისაგან. ეს არის არაპირდაპირი ძალადობა, რადგან არსებულ სოციალურ სტრუქტურაშია ჩაშენებული და მისგან მომდინარეობს. სტრუქტურული ძალადობა წაკლებად თვალსაზინოა, ვიდრე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა.



- **გულტურული** ძალადობა ძალადობის კიდევ ერთი ტიპი და ამავდროულად ინსტრუმენტიცა (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, კულტურული ნორმები). იგი კულტურის იმ ასპექტებს ეფუძნება, რომელიც ზემოთ ნახსენები ინსტრუმენტების დაგენტიმაციას ახდენს. ძალადობა დადასტურებულია ისეთ დასახელებებში, როგორებიცაა: რეფოლუცია, რელიგიური ფანატიზმი, პოლიტიკური იდეოლოგიები (ნაციონალიზმი, კომუნიზმი) (ნახ. 1).

რა არის გენდერული ძალადობა

ხშირად ძალადობას სქესისმიერი ხასიათი აქვს. რას ნიშნავს ეს?

- მეზობლებს ხშირად ესმით მამაკაცის ყვირილი, უმცერი სიტყვები და საგნების დეწვის ხმა, რომელიც მეზობლად მცხოვრები ცოლ-ქმრის ბინიდან გამოდის.
- მაღალანაზღაურებად სამსახურში უფროხი თანამშრომელ ქალებთან სექსუალურ ხუმრობებს ხმარობს, ხელებს უცაცუნებს, დროს რომ მოიხელოებს, უხერხულ შეთავაზებებს უკეთებს. თანამშრომლებს სამსახურის დაკარგვის ეშინიათ და ამაზე არსად დაპარაკობენ.
- ავდანეთში, რელიგიური წესის თანახმად, ქალი არ უნდა გამოჩნდეს საზოგადოებრივ ადგილებში, თუ ჩაითვალა, რომ ქალმა დაარღვია ქცევის წესები, საზოგადოებას, გარეშე პირებს, სხვა მამაკაცებს უფლება აქვთ, ჩაქოლონ და ამგვარი ფაქტები ხშირია.
- ზოგიერთ საზოგადოებაში გავრცელებული პრაქტიკაა ქალის მოტაცება და მისი ცოლად შერთვა



- N ქვეყანაში ლტოლვიდი ქაღების და ბაგშვების ჯგუფის საზღვროზე გადაეჭვინის საფასურად მესაზღვრები ქაღებისგან სექსუალურ მომსახურებას ითხოვდნენ.
 - ქმარი უკრძალავს თავის ცოლს სწავლის გაგრძელებას და უქმნება, რომ სამსახურსაც არ დააწყებინებს, რადგან მას საკმარისი შემოსავალი აქვს და ცოლმა კი ოჯახს და ბაგშვებს უნდა მიხედოს. მაგრამ როდესაც ცოლი ფულს ხარჯავს ოჯახის საჭიროებებისთვის, ქმარი ეჭვობს, რომ ცოლი ფულს უყარათოდ ხარჯავს ან სხვა დანიშნულებისთვის იყენებს. ქმარს სურს, მთლიანად აპონტროლოს ყველაფერი, რასაც ცოლი აქვთებს ან გრძნობს.

როგორც ვთქვით, უფრო მოსალოდნელია, რომ ძლიერი ძალადობდეს სუსტზე; ადამიანები ძალადობენ იმაზე, ვინც მათზეა დამოკიდებული და მათ გარეშე არსებობა გაუჭირდება.

პირველ რიგში ძალადობა შედეგია ძალაუფლების არათანაბარი განაწილებისა მასაკაცებსა და ქალებს შორის.

როდესაც მამაკაცი ქალის მიმართ ძალადობრივ ქცევას ახორციელებს იმის გამო, რომ ის ქალია, მისი სტატუსიდან, როლიდან, ტრადიციებიდან გამომდინარე, ამას გენდერული ხასიათის ძალადობა, ანუ გენდერული ძალადობა ეწოდება.

გენდერული ძალადობა ზოგადი ცნებაა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის – ქალისა თუ მამაკაცის ნების წინააღმდეგ მისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენებას და რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე, განვითარებაზე და პიროვნულ მეობაზე. ოდონტ აქ მთავარი ისაა, რომ ძალადობა ხდება სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი ქალია ან კაცი. აქ არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ბიოლოგიურად ქალი და კაცი, აქ მოიაზრება ქალი ან მამაკაცი, მათი სოციალური, კულტურული და ოჯახური ფუნქციების გათვალისწინებით.

გაეროს კომიტეტმა, რომელიც ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ შეიქმნა, თავის მე-11 სესიაზე გენდერული ძალადობა ასე განსაზღვრა:

გენდერული ძალადობა არის ისეთი ძალადობა, რომელიც მიმართულია ადამიანის მიმართ მისი სქესის საფუძვლის ზე. იგი შეიცავს იმგვარ ქცევას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, გონიერი ან სექსუალურ ზიანს და ტანჯვას, ასეთი ქმედების მუქარას, ძალდატანებას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას. თუმცა გენდერული ძალადობის მსხვერპლი პრინციპი შეიძლება გახდეს კველა – ქალი, ქაცი, გოგონა თუ ბიჭი, გენდერული ძალადობის პრინციპი შეიძლება გახდეს უფრო ქალები და გოგონები ხდებან.

გენდერული ძალადობა არის ნებისმიერი აქტი (ქმედება), რომელიც იწვევს ანდა შეუძლია გამოიწვიოს ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა ქალებში, იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან, ან მამაკაცებში, იმიტომ რომ ისინი მამაკაცები არიან, და რომელიც მოიცავს ასევე ამგვარი ქმედების მუქარას, ძალდატანებას ან თავისუფლების შეზღუდვას, მიუხდავად იმისა, თუ სად ხდება იგი, საჯარო თუ პირად ცხოვრებაში.

გენდერული ძალადობა მოიცავს შემდეგ შემთხვევებს (თუმცა არ შემოიფარგლება ამით):

1. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს **ოჯახში**, მოიცავს ცემას, სქესობრივი კავშირის იძულებით დაშეარებას ბავშვებთან, ცოლის გაუპატიურება ქმრის მიერ, ქალის სქესობრივი ორგანიზების დაზიანება, ძალადობა ქორწინებაში არმოფი პარტნიორის მხრიდან და ძალადობა ექსპლუატაციის მიზნით.
2. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც ხდება **სახობალოებაში და რომელშიც იგულისხმება გაუპატიურება, სქესობრივი კავშირის დაძლება და არსასურველი შემოთავაზებანი სამსახურებში, საზოგადოებრივ ადგილებში, სამედიცინო და სახწავლო დაწესებულებებში. ამაში შედის ტრაგიკინგი და პროსტიტუციაში ჩართვა**
3. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს **სახლმდივოს მხრიდან ან სახლმწიფოს უმოქმედობის გამო, სადაც არ უნდა ხდებოდეს (გაერთის გენერალური ასამბლეას დეკლარაციის საფუძველზე UNHCR-ის მიერ შემუშავებული განსახლვრება, 1993 წ.).**

გენდერული ძალადობის უორმები

გენდერულ ძალადობას მრავალფეროვანი გამოვლინებები აქვს. ზოგჯერ მისი გარჩევა ძნელია ძალადობის სხვა ფორმებისგან, იმდენად მსგავსია სიმპტომები, მოძალადისა და მსხვერპლის მახასიათებლები, გარემო სიტუაცია და ძალადობის შედეგები. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გვახსოვდეს გენდერული ძალადობის ამოსაცნობად, ისაა, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს ერთი სქესის მიმართ მისი ამ სქესისადმი (ოდონდ აქ გეულისხმობით გენდერულ როლს) მიუთვნებულობის გამო ჩადენილ ძალადობას. ნებისმიერი ძალადობა, რომლის მსხვერპლი ქალი იყო, როდია გენდერული ძალადობა. თუ ქალი გახდა ძარცვის მსხვერპლი ან თუ მას კონფლიქტური ურთიერთობა აქვს მეზობლებთან ან ოჯახის წევრებთან, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა გენდერულ ძალადობას. მაგრამ თუ ოჯახი ქალს სისტემატურად ავიწროვებს, რადგან ითვლება, რომ ქალი ვალდებულია მორჩილი იყოს ოჯახის წევრი მამაკაცებისა, აიტანოს ტკივილი და



თავისუფლების შეზღუდვა – აქ უკვე გენდერული ძალადობის ყველა
ნიშანი აშკარაა

ასევე ყოველი სიტუაცია, სადაც კაცი იჩიგრება ან მას ტკივილს და
ტანჯვას აუკნებენ, არ ჩაითვლება გენდერულ ძალადობად, ხოლო თუ ის
ძალადობის მსხვერპლი იყო მისი სქესის გამო, მხოლოდ მაშინ ვამბობთ,
რომ საქმე გენდერულ ძალადობასთან გვაქვს. ქალისა და კაცის
ურთიერთმიმართებაში ასეთი შემთხვევები არ არის ტიპური, რადგან
საზოგადოდ კაცი პრივილეგირებულ მდგომარეობაშია და მის ხელში
იყრის თავს კონტროლის და ძალაუფლების მქანიზმები. გაგვიჭირდება
ისეთი საზოგადოების დასახელება, სადაც ქალი ფლობს სტრუქტურულ
ძალაუფლებას და ამით ბოროტად სარგებლობს კაცის საზიანოდ.

კაცის მიმართ გენდერული ძალადობის მაგალითად შეიძლება
გამოდგეს ზოგიერთ საზოგადოებაში ახალგაზრდა მამაკაცებისათვის
ადრეული, მისი ნების წინააღმდეგ ქორწინება, სხეულის დაზიანების
ტრადიციული პრაქტიკები და ა.შ. გენდერულ ძალადობას მამაკაცის
მხრიდან შეიძლება მივაკუთხნოთ მამაკაცზე ფსიქოლოგიური ძალადობა
ოჯახის წევრების მხრიდან, თუ ის მისი ტრადიციული გენდერული
როლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგალითად, არ შეუძლია, ოჯახი
არჩინოს, ან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა თანატოლების
მხრიდან ახალგაზრდა მამაკაცზე, თუ იგი არ არის საქმარისად
აგრესიული.

ქვემოთ ჩამოთვლილია გენდერული ძალადობის ყველაზე
გავრცელებული სახეები, რომლებიც მთელ მსოფლიოში გვხვდება. ისინი
ერთიანდება 4 კატეგორიაში: ფიზიკურ, სექსუალურ ფსიქოლოგიურ და
სტრუქტურულში. ძალადობის ეს ფორმები ან ცალ-ცალკე გვხვდება, ან
რამდენიმე ფორმა ერთად მონაწილეობს.

- გაუპატიურება, მათ შორის გაუპატიურება მეუღლის მიერ;
- გაუპატიურების მცდელობა;
- სქესობრივი ექსპლუატაცია;
- იძულებით პროსტიტუციაში ჩაბმა;
- სექსუალური შევიწროვება (პარასმენტი);
- ფიზიკური შეურაცხეოფა;
- ტრავიკინგი;
- სიტყვიერი შეურაცხეოფა;
- დისკრიმინაცია და შესაძლებლობების/ რესურსების შეზღუდვა;
- იზოლაცია, გამოკეტვა;
- კანონმდებლობის მხრიდან (გენდერულად დისკრიმინაციული,
უსამართლო ან გენდერულად ბრმა კანონები);
- ადრეული ან იძულებითი ქორწინება;
- საზიანო ტრადიციები (მაგ. გენიტალიების დამახინჯება);
- დირსების მკვლელობა;



- ინფარიციდი (ახალშობილის მოკვდინება) და ბავშვის უარყოფა მისი სქესის გამო.

გენდერული ძალადობის კერძო სახეა ოჯახური ძალადობა. საქართველომ 2006 წელს მიიღო კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, სადაც ოჯახურ ძალადობას დანაშაულად აღიარებს და გვთავაზობს პრევენციულ და დაცვით ღონისძიებებს (იხ. კანონი “**ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ**”).

ოჯახში ძალადობა არ არის მხოლოდ გენდერული ძალადობა, რადგან მასში შედის ძალადობა ბავშვის მიმართ, ასაკოვანი ოჯახის წევრების მიმართ და საერთოდ ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ, მათი სქესისგან დამოუკიდებლად. თუმცა, როგორც სტატისტიკა გვეუბნება, აქაც რაოდენობრივად ქალის მიმართ ძალადობის მრავალფეროვანი ფორმები ლიდერობს.

ცალკე აღსანიშნავია ძალადობის ისეთი ფორმა, როგორიცაა **ტრეფიქინგი**. ტრეფიქინგი საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრება, როგორც “ადამიანის ყიდვა, ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უგანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით”. ადამიანთა ტრეფიქინგის მნიშვნელოვანი წილი სექს-ტრეფიქინგზე მოდის და სწორედ ეს სახეა ჩვენთვის საინტერესოა, რადგან აქ სწორედ ძალადობა ქალის მიმართ ხდება.

ქალის მოტაცება კიდევ ერთი ფორმაა, რომელიც არ არის უცხო ჩვენი რეალობისთვის. ქალზე ძალადობის ეს სახეც კომპლექსურია, მას ხშირად ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, როგორც წესი, ერთვის გაუპატიურება და ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა. სამწუხაო ტენდენცია ის გახლავთ, რომ გენდერული ძალადობის ამ ფორმის მიმართ თუმც კანონი მკაცრია, საზოგადოება საკმაოდ ლოიალურია. აქაც განათლება მთავარ იარაღიდ გვევლინება. მანამდე კი ქალის მოტაცება მიღებული და ნორმალური მოვლენაა, რომელშიც მხოლოდ მოტაცებული ქალი იჩაგრება.

თას ეფუძნება გენდერული ძალადობა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გენდერული ძალადობის მიზეზები განვითარებული დისკრიმინაციულ სტერეოტიპებში, ანუ საზოგადოების განწყობებში და გაგრცელებულ პრაქტიკაში უნდა ვეძიოთ. ეს არის შეზღუდვების და პრივალეგიების, როლებისა და შესაძლებლობების სისტემა, რომელსაც მარტივად ვერ მოვერევით. ის საჭიროებს ხანგრძლივ და სისტემურ ცვლილებებს, რისი ძირითადი ელემენტიც განათლებაა.



განსაკუთრებული უფლებები, აღზრდა, ტრადიციები

ჩვენ გარშემო ხშირად გაიგონებთ, რომ კაცი უფრო თავისუფალი უნდა იყოს, უფრო დამოუკიდებელი, მისთვის ნებადართულია აგრესიის გამოხატვა, მან უნდა აკონტროლოს სიტუაცია, მართოს ქალები, მამაკაცმა უნდა გადამწყვიტოს, რისი უფლება აქვს ქალს და რისი – არა, თქვას გადამწყვეტი სიტყვა, მოითხოვოს მორჩილება და დასაჯოს "ურჩი" – მოკლედ, ისარგებლოს განსაკუთრებული უფლებებით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ჩვენი კონსტიტუციით, მრავალი სხვა სამართლებრივი დოკუმენტით და, რაც მთავარია, უბრალო ადამიანური სამართლიანობის წესით, "ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია თავისი დირსებით და უფლებებით, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, მათ შორის სქესისა." ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არავითარი განსაკუთრებული უფლებები. ასევე დაუშვებელია რაიმე ძალადობა სწორედ ამ განსაკუთრებული უფლებებიდან გამომდინარე. არადა, მშობლები ხშირად ბიჭებს ისე ზრდიან, რომ მათგან მოძალადები გამოიყვანო. მათ არ უშლიან, იყონ აგრესიულები; მათ აქვთ ბირველობისკენ; მათ შოთაგორებენ, რომ სიბრალული და ნაზი გრძნობები არ არის ბიჭის საქმე; მათ შეუძლიათ, გამოხატონ ბრაზი და იყვირონ; მათ ასწავლიან, რომ გოგონებზე უკეთესები არიან. ეს ყველაფერი ქალების მიმართ გენდერული ძალადობის საფუძველია.

გოგონებს, ამის საპირისპიროდ, ასწავლიან, რომ უნდა დაუთმონ, არ გამოიჩინონ ზედმეტი ინიციატივა, არ გამოხატონ თავიანთი უქმდაფილება უთანასწორობის მიმართ, იყვნენ პასიურები. **გოგონას შთაგონებული აქებს, რომ ბიჭზე რაღაცით ნაკლებია.**

ძალიან დიდი ზიანის მომტანია ქალისათვის ის აზრი, რომ თუ მას ერჩიან და ცუდად ექცევიან, დანაშაული საკუთარ თავშივე უნდა ექცეოს. "კარგი ცხენი მათრასს არ დაირჩეამსო" – სწორედ ამ მორალს უწერავავნ ხშირად ქალებს – თუ მას ცუდად მოექცენ, სექსუალური შეურაცხოფა მიაყენეს ან, ზოგადად, რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი გახდა – ეს მისი ბრალია. ესევ გენდერული ძალადობის კარგი საფუძველია, ოღონდ თუ ბიჭებისგან ასე მოძალადები გამოდიან, გოგონებისგან – ძალადობის მსხვერპლები.

რა ვაძლიერები შეიძლება უზოდღეს ხელს გენდერულ ქალადობას

ხელის შემწყობი ფაქტორები ისეთი ფაქტორებია, რომლებიც ზრდის გენდერული ძალადობის რისკს და გავლენას ახდენს ძალადობის ტიპზე და მისი გავრცელების ხარისხზე. ეს ფაქტორები, თავისთავად, არ იწვევს გენდერულ ძალადობას, მაგრამ ასოცირებულია ზოგიერთ ძალადობრივ ქმედებასთან. აი, რამდენიმე მაგალითი:



- ალკოჰოლი და ნარკოტიკები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ნასვამი ადამიანი ან ნარკოტიკის მომხმარებელი სცემს ცოლს ან აუპატიურებს ქალს;
- ომი, ღევნილობა, შეიარაღებულ ადამიანების არსებობა, მაგრამ ყველა მეომარი როდი აუპატიურებს მშვიდობიან მოსახლეობაში ქალებს;
- სილარიბე, თუმცა ყველა გაჭირვებული ქალი არ გახდება სექსუალური ექსპლუატაციისა თუ ძალდატანებითი პროსტიტუციის მსხვერპლი.

გენდერული ძალადობის შედეგები



გენდერული ხასიათის ძალადობას მრავალი ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სოციალური შედეგი შეიძლება მოყვეს, რომელთა მაგალითები ზემოთ მოვიყვანეთ. შედეგები განსხვავდება ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით და დამოკიდებულია ძალადობის ტიპზე და მის სიმძიმეზე. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები მსხვერპლის ფსიქოლოგიური თავისებურებაც. აი, გენდერული ძალადობის რამდენიმე შედეგი:

- **სიკვდილი** – მოკვდინება ან თვითმკვლელობა ერთ-ერთი უმძიმესი შედეგია გენდერული ძალადობისა. ყოველწლიურად მსოფლიოში ძალადობის შედეგად იღუპება მეტი ქალი, ვიდრე კიბოთი ან ავტოსაგზაო შემთხვევებით.
- **სტიგმა** – სირცხვილის დაღი, საზოგადოების ტენდენცია, ბრალი გენდერულ ძალადობაში თვით მსხვერპლს დახსდოს და მსხვერპლის სირცხვილად გამოაცხადოს. ეს განსაკუთრებით ესება გაუპატიურებას და სექსუალური ძალადობის სხვა შემთხვევების. სტიგმა და დადანაშაულება უფრო მძიმე ფსიქოლოგიურ და ემოციურ ტანჯვაში გადაისის. მსხვერპლი ხშირადირიგება თავისი საზოგადოებიდან. ხშირად ამას ხელს უწყობენ ისინი, ვინც წესით უნდა ეხმარებოდეს მათ.
- გენდერული ძალადობის მსხვერპლის რისკი, რომ **პვლავ გახდეს ძალადობის ობიექტი**, მატულობს.
- **ჯანმრთელობის პრობლემები** – გენდერული და სექსუალური ძალადობა სერიოზულ ხიცათს უქმნის ჯანმრთელობას. ესაა ფიზიკური ტრავმებით მიექნებული ზიანი, გადამდები დაგადებების რისკი და ა.შ. ძალადობაში შეიძლება გამოიწვიოს როგორც მწვავე და მყისერი ზიანი, ისე ქრონიკული ხასიათისა: ინვალიდობა, ინფექციები, სომატური ჩივილები, კვეთითი და ძილის დარღვევები, ალკოჰოლიზმი და სხვ.
- **ფსიქო-ემოციური შედეგები** – უმტკიცილად ფსიქოლოგიური და ემოციური შედეგები ნორმალური ადამიანური რეაქციაა შემაშინებელ, მტანჯველ და ექსტრემალურ მოვლენებზე, რომლისგანაც შედგება ძალადობა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლი ფსიქიკურად



ავადდება და ეს უკვე სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. ფსიქო-
ჟმოციური შედეგებიდან ძირითადია: პოსტრავმატული სტრესი,
დეპრესია, შფოთვა და შიშები, თვითგვემა, თვითმკვლელობის
მცდელობა და თვითმკვლელობა, ფსიქიკური პათოლოგია.

- **სოციალური შედეგები –** საზოგადოებათა უმეტესობა მიდრეკილია,
მომხდარ ძალადობაში თვით მსხვერპლი დაადანაშაულოს. ეს
განსაკუთრებით გაუპატიურების შემთხვევებს შეეხება. საზოგადოების
მხრიდან გარიყვის შიშით მსხვერპლთა უმრავლესობა ერიდება მასზე
მომხდარი ძალადობის შესახებ მოყოლას და არ მიმართავს
ჯანდაცვისა თუ სამართალდამცავ ორგანიზაციებს. სოციალური
შედეგების მაგალითებია: მსხვერპლის დადანაშაულება, სოციალური
სტიგმა, სოციალური იზოლაცია, საზოგადოებაში ნორმალური
ფუნქციონირების უნარის დაკარგვა, ოჯახის (მეუღლის) მხრიდან
უარყოფა, მარტივად რომ ვთქვათ, ოჯახიდან გაგდება.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური მოქმედებისათვის
საჭიროა როგორც მიზეზების, ისე შედეგების ანალიზი. თუ გავიგებთ
მიზეზებს, შეგვეძლება განვახორციელოთ პრევენციული ზომები. თუ
გვეცოდინება შედეგები შეგვეძლება საპასუხო ქმედებების მომზადება.

ოჯახური ძალადობა

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ოჯახური ძალადობა გენდერული ძალადობის
კერძო ფორმაა. მისი განსაკუთრებული მახასიათებელი – ესაა აგრესიული
და მაკონტროლებული ქცევა, რომელსაც ოჯახში ერთი წევრი მეორის
მიმართ სხადის. რამდენად გავრცელებულია გენდერული ძალადობა?
სტატისტიკა სხვადასხვა ქვეყანაში ვარირებს, მაგალითისთვის მოვიყვანო
აშშ-ს, სადაც ქალების ერთი მეოთხედი, ანუ 12 მილიონზე მეტი იმყოფება
იძულების მდგომარეობაში (ზოგჯერ მთელი ცხოვრების მანძილზე)
ახლანდელი ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან. 5 მილიონზე მეტ ქალზე
უხეში ძალადობა მიმდინარეობს.

ოჯახური ძალადობის ძირითადი ტიპები იგივეა, რაც გენდერული
ძალადობისა: ეკონომიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიურ-ჟმოციური,
სექსუალური. მისი განსაზღვრებაც მსგავსია.

ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური,
სექსუალური ანდა ეკონომიკური შეურაცხოვისა, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი
ახორციელებს მეორეზე მასზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვების მიზნით.



საქართველოს კანონი “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვარპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” ასეთ განმარტებას იძლევა:

მუხლი 3. ოჯახში ძალადობა

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

საქართველოში 2005 წელს ჩატარებული მასშტაბური გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ქალზე ოჯახური ძალადობის პრობლემას ეხებოდა, მრავალი შემაშფოთებელი ტენდენცია გამოჩნდა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ფიზიკური ძალადობის ობიექტი გამხდარა, სულ მცირე, რესპონდენტთა მეხუთედი მაინც. მათ შორის იგვეთება ქალთა გარკვეული ნაწილი, რომელიც საჭიროებს რამე სახის დაცვას სისტემატური ფიზიკური თავდასხმებისგან.

სურვილის საწინააღმდეგოდ სექსუალურ კონტაქტზე დათანხმება საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა – რესპონდენტთა მეოთხედი მაინც ყოფილა ამგვარი იძულების ობიექტი, ქალთა გარკვეულ ნაწილს კი (ყოველი მეოთორმეტე-ქეცამეტე) აიძულებდნენ მათთვის მიუღებელ სექსუალურ აქტივობას;

გამოვლინდა ცოლის მიმართ ეკონომიკური ძალადობის ფორმათა მთელი სპექტრი, რომელთა შორის ქმრის მხრიდან ფინანსური კონტროლისა და მასზე მუდმივი ეკონომიკური დამოკიდებულების გვერდით მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს სხვადასხვა სახის ეკონომიკური ხასიათის აკრძალვებსა და შეზღუდვებს.

ზემოთ აღნიშნული ფორმების პარალელურად საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი ეკონომიკური ძალადობის ისეთ დიად გამოვლენილ სახეებს, როგორიცაა ეკონომიკური ხასიათის აკრძალვები, ფინანსური რესურსებისაგან მოწყვეტა და დასჯის მიზნით ეკონომიკური შეზღუდვების განხორციელება.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ამა თუ იმ ხარისხით იმუოფება ფინანსური ზეწოლის ქვეშ, რაც გულისხმობს მეუღლისგან ფულის თხოვნის საჭიროებას ნებისმიერი (საოჯახო თუ პირადი სარგებლობის) საყიდლებისათვის და მის წინაშე ანგარიშვალდებულებას დანახარჯების თაობაზე

საერთო დანაზოგით თავისუფლად სარგებლობის უფლება აქვს ქალთა მცირედ ნაწილს (12,4%);

ქალთა მნიშვნელოვანი ნაწილი (არა ნაკლებ მესამედისა) იმუოფება მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, რომელიც მოიცავს ძალადობის მთელ სპექტრს: უჭირანობა, საყვედურები, აკრძალვები, ქალის საურთიერთობო წრის შეზღუდვა მხოლოდ ოჯახის წევრებით, მოთხოვნებისა და მოლოდინების მთელი სისტემა. ყოველივე ეს კი ემსახურება ქალზე ძალაუფლებასა და მასზე კონტროლს

(ოჯახური ძალადობა ქალზე – მრავალეომბონენტიანი ძვლევა, კაგაახის ქალთა ძალებითი და საკონსულტაციო ქსელი, 2006)



მოძალადის ძირითად მახასიათებლებად მიჩნეულია: კონტროლის სურვილი; ძალაუფლების სურვილი; დაბალი თვითშეფასება; სხვისი დადანაშაულების ტენდენცია.
მალაზობის მსხვირპლის ძირითადი მახასიათებლები – მოთმენა, დაბალი თვითშეფასება; დამნაშავეობის გრძნობა; სხვაზე დამოკიდებულება.

ძალადობრივი ქცევის ელემენტები:

დაშინება – მზერით, ქცევით, მიმიკით, ხმის აწევით, ნივთების მტვრევით.
მშეარა – თავის მოკვლით, რომ ბავშვებს წაართმევს და ა.შ.
იზოლაცია – კონტროლი იმაზე, თუ რას აკეთებს ქალი, ვისთან ურთიერთობს, სად დადის, ჩაკეტვა, არგაშვება.
მმოციში ძალაზობა – დამცირება, დაცინვა, დააჯერო, რომ გიყია.
მპოვნიაზი ძალაზობა – ხელის შეშლა სამსახურის შოვნაში,
იძულება, რომ გთხოვოს ფული, ფულის წართმევა.
სესუალური ძალაზობა – იქონიო სექსი ქალის ნების გარეშე, მოექცე,
როგორც სექსუალურ რძიების.
გამოვნების გამოვნება – იძულება, რომ ბავშვების წინაშე დამნაშავედ
იგრძნოს თავი, ბავშვის გამოყენება დანაბარების გადასაცემად . . .
მამაპატის ჟაირატებობის გამოვნება – მოეპყრო, როგორც მსახურს,
დასცინოთ მის გადაწყვეტილებებს, მოიქცე, როგორც ბატონ-
პატრონი.

ოჯახური ძალადობისთვის დამახასიათებელია ის, რომ ძალადობის მსხვერპლი ვერ თავისუფლდება ამ ძალადობისგან და რჩება ზეწოლის/იძულების პირობებში, ვერ მიმართავს დახმარებას და არავის აცნობებს ამის შესახებ. რატომ შეიძლება ეს ხდებოდეს?

შესაძლოა, ფინანსური დამოკიდებულების გამო; შეიძლება, არის მუდმივი შიში და უნდობლობა სხვების მიმართ; შეიძლება იყოს ძალადობის ესკალაციის შიში; შეიძლება ჰყავდეთ შვილები, რომელიც მათზე არიან დამოკიდებული ფინანსურად და ემოციურად; შეიძლება, უხერხეულობას გრძნობდეს თავისი ოჯახის ან მეგობრების წინაშე; შეიძლება იყოს კულტურული ან რელიგიური შეხედულებების გამო, რომელიც ოჯახის შენარჩუნებას გულისხმობს, ნებისმიერ პირობებში. შეიძლება ჯერ კიდევ გიყვარდეს პარტნიორი; შეიძლება, თავად იყო აღზრდილი იძულებისა და ზეწოლის პირობებში და სხვანაირი ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდე.

პრევენციული ზომები

მხოლოდ ხელშემწყობი და ზეგავლენის მქონე ფაქტორების გაგებით შევძლებთ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური



ზომების მიღებას. პრევენციული ზომები მიმართულია როგორც პოტენციური მოძალადების, ისე პოტენციური მსხვერპლების მიმართ და ასევე იმათ წინააღმდეგ, ვინც შეიძლება მათ ეხმარებდეს.

ეფექტური პრევენციული ღონისძიებები მოიცავს 5 ამოცანაზე მიმართულ ქმედებებს:

სოციო-კულტურული ნორმების შეცვლა ქალთა გაძლიერების მიმართულებით; ოჯახური, საზოგადოებრივი და დახმარების სტრუქტურების გამყარება; ეფექტური სამსახურების შექმნა; ფორმალურ და ტრადიციულ სამართლის სისტემებებთან მუშაობა, რათა უზრუნველყოფით მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. გენდერული ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი და ღოკუმენტირება.

გენდერული ძალადობის ადსაგვეთად უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს გენდერული ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები და ვიმოქმედოთ მათ წინააღმდეგ.

ბენდერული ძალადობა პოზიტივის და ომის დროს

“შეოფლითში არ იქნება მშეიღობა და უსაფრთხოება, ვიდრე არ შეწყდება ძალის მიმართ”

თორაია აპტერ თბაიძე

ძალადობა, თავისი სხვადასხვაგვარი გამოვლინებით, მშეიღობიან დროსაც არსებობს, მაგრამ განსაკუთრებულ სახეს და სიმძაფრეს იგი ომის დროს იძენს. ომის შედეგები არა მხოლოდ ინდივიდუალური დაზიანების ან განადგურების სახით ვლინდება, არამედ უფრო ფართო არეალსაც მოიცავს, მრავალ ადამიანს ანადგურებს და აზარალებს.

ომი ქალებისა და მამაკაცების ცხოვრებაზე განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს. მას ყველასათვის ტანჯვა მოაქვს, მაგრამ ქალებზე მისი ზემოქმედება ორმაგია – მოკლევადიანიც და გრძელვადიანიც. სშირად ქალები განაგრძობენ საომარ ტერიტორიაზე ცხოვრებას (იქ, სადაც ბრძოლა არ მიმდინარეობს), ცდილობენ, ძველებურად მართონ მეურნეობა; გარბიან სახიფათო ადგილებიდან და უსახლეპარო დეპნილების როლში აღმოჩნდებიან ხოლმე. ყველა შემთხვევაში, ქალები ძალადობის მსხვერპლს წარმოადგენენ. ისინი მსხვერპლად იქცევიან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არც გაუსვრიათ და არც ბრძოლის ველზე დაჭრილან. ისინი მსხვერპლის არიან საერთაშორისო ომებშიც და სამოქალაქოშიც, ეროვნულ ომებში, რელიგიურში და ეთნიკურშიც. ბრძოლის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს. ისინი ძალადობის სხვადასხვა ფორმების მსხვერპლი ხდებიან, რომელთაგან ბევრი “უჩინარია”. ქალს აქტიურ



როლშიც შეუძლია ყოფნა და ბევრჯერ მას დაპირისპირების მოგვარებაში მიუღია მონაწილეობა და ყოველთვის “ფარდის უკან” რჩებოდა. არადა, ქალის სამშვიდობო პოტენციალი ძალზე დიდია.

ომის უნებლიერ მსხვერპლი ბევრი მამაკაციც ხდება. მათ ხოცავენ, სახლიდან აგდებენ, აიძულებენ იომოს. მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ქალისა და მამაკაცის ომის გამოცდილების თვალსაზრისით. ომი ძალაუფლებისათვის ბრძოლაა და ძალაუფლებაზე მათ განსხვავებულად მიუწვდებათ ხელი. ამ ორი სქესის წარმომადგენლებს, განსხვავებული მდგომარეობიდან და როლიდან გამომდინარე, განსხვავებული მონაწილეობა უხდებათ. ქალისათვის კონფლიქტი ძალაუფლების დემონსტრირებაა. ფიზიკური ძალაუფლება, ძალაუფლება მატერიალურ რესურსებზე ტრადიციულად მამაკაცების ხელშია. სწორედ მამაკაცებს სურთ, დაიმორჩილონ სხვები ამ რესურსების მეშვეობით. აქვდან გამომდინარე, ომში აქტიური როლი სწორედ მამაკაცებს აქვთ. მათ სურთ, რომ იყვნენ გამარჯვებული და არა დამარცხებული, მოგებული და არა მსხვერპლი.

ქალებისა და მამაკაცების როლები ძალზე მნიშვნელოვანია და არც ერთი მეორეზე მეტი ან ნაკლები არ არის. საქმე ისაა, რომ “მამაკაცები თავად წერენ საომარ სცენარებს, რეჟისურაც მათია და ქცევის ინტერაციაც. ისინი საკუთარ თავს ყველაზე საინტერესო, გმირულ როლებს აიძებენ, ხოლო ქალებისათვის მეორესარისხოვანი, მხარდაჭერი როლები ემეტებათ” (ლერნერი).

ომი აძლიერებს ქალის მარგინალიზაციას – ქალები საკუთარ თავს უფრო პასიურ მსხვერპლთან აიგივებენ, ვიდრე აქტიურ, გადარჩენისათვის მებრძოლ სტრატეგთან, რომელიც საკუთარ სახეს ომსა თუ დევნილობაშიც ინარჩუნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებს შეცვლილ სიტუაციაში სიძნელებითან გამქლავების გაცილებით მეტი მზაობა და უნარი აქვთ, მეტი აქტიურობა ახასიათებთ, ისინი პოლიტიკური ამინდს ვერ ქმნიან და იმ სახეიყო შედეგების მსხვერპლად იქცევიან ხოლმე, რაშიც ფაქტობრივადდანაშაული არ მიუძღვით.

სექსუალური ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტის დროს თავისებურ იარაღს წარმოადგენს. იგი მოსახლეობის მიზანმიმართულ შეურაცხოფასა და დემორალიზებას ისახავს მიზნად. ამ დროს, გამეფებული უკანონობის პირობებში მსხვერპლი დაუცველია და მოძალადეც დაუსჯელი რჩება.



ქალადობა – არამალადობა, მშვიდობის პულტურის გენდერული პერსპექტივა

ადამიანების მისწრაფება მშვიდობისა და არაძალადობისაკენ არსებული ძალადობისა და ომის კულტურის ზემოქმედებით საუკუნეების განმავლობაში ფერხდებოდა, დღეს მშვიდობა წახალისებულია და მას მთელ მსოფლიოში უჭერენ მხარს. საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, იუნესკო და სხვ.) მხარდაჭერით მიმდინარე საქმიანობა, გაკეთებული განცხადებები და მიღწეული შეთანხმებები, განხორციელებული პროექტები მთელ რიგ ცვლილებებს დაედო საფუძლად ადამიანის უფლებების დაცვის, გენდერული თანასწორობის, გარემოს დაცვის, აგრეთვე, სიღარიბის დაძლევის, ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, ოქები მსოფლიოში კვლავ გრძელდება. ესაა ოქები სახელმწიფოებს შორის და სახელმწიფოებს შიგნით. საზოგადოება დღესაც სერიოზული საფრთხის წინაშეა და ზარალდება მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და გენდერული ძალადობის გამო.

იქმნება და ფართოვდება ძალადობის რკალი, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძლებით, რომელიც საზოგადოებებსა და მათ პულტურულ ტრადიციებზე მოქმედებს.

ოქები გენდერულ სტერეოტიპებს ამძაფრებს და ქალებზე ძალადობას უწყობს ხელს. ძალადობის კულტურა მსოფლმხედველობის, მენტალობისა და პრობლემების გადაწყვეტის ძალადობრივი მიღების ერთობლიობაა, რომელიც მუდმივად ძალადობისა და შეიარაღებული ძალების გამოყენებისაკენ უბისგებს მხარეებს. ამ ფონზე ადამიანები სულ უფრო მეტად ზრუნავენ მშვიდობის კულტურის დასამკვიდრებლად.

მშვიდობის კულტურის დამკვიდრება იოლი არ არის. კულტურა ფართო ცნებაა და მასში გადახლართულია ადამიანების მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი, ღირებულებები და რელიგიური რწმენა, ისტორიული მემკვიდრეობა და კოლექტიური მეცნიერება, ხელოვნება, ენა, ლიტერატურა, სოციალური ინსტიტუტები, პიროვნული და სოციალური ურთიერთობები. არ არსებობს ადამიანის ცხოვრების რაიმე ასპექტი, რომელიც არ იქნებოდა გარემოს კულტურული ზემოქმედების ქვეშ. კულტურა მოქმედებს ადამიანების თვითმყოფადობასა და მათი ქცევის ნორმებზე. მისგან მოდინარეობს და ყალიბდება ადამიანის შეხედულებები მშვიდობაზე, არაძალადობაზე, ადამიანის უფლებებზე, გენდერზე, ადამიანები/საზოგადოებები იცვლებიან, თუმცა მათი ურთიერთობები (პიროვნული და ინსტიტუციონალური) ჯერ კიდევ ომისა და ძალადობის კულტურის ელემენტებითაა გაუდენოილი, ხოლო



გენდერული როლები ამგვარი მყარი შეხედულებების პირობებში ყალიბდება.

საყოველთაოდ გავრცელებული ომის კულტურა ყველგანაა, მაგრამ, შესაძლოა, არ იყოს თვალშისაცემი ისევე, როგორც, მაგალითად, სამხედრო დაწესებულებების შემთხვევაში. მთელ მსოფლიოში არავის უკვირს ქალების სამხედრო სამსახურში ყოფნა, თუმცა იერარქიის სათავეში ქალებს ვერ ნახავთ.

ქალები რეალურად უმცირესობაში არიან იქ, სადაც ომისა და მშვიდობის საკითხები წყდება და იქაც, სადაც საქმე უსაფრთხოებასა და მშვიდობას ეხება.

ამასთან, ომის უარყოფითი ზემოქმედება ქალებზე იზრდება. მე-20 საუკუნის დასაწყისში სამხედრო ოპერაციების ძირითად მსხვერპლს მამაკაცები წარმოადგენდნენ. მე-20 საუკუნის ბოლოს – 21-ე საუკუნის დასაწყისში ომში ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა და ინფრასტრუქტურა ნადგურდება. შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაზარალებულები, მათ შორის დაჭრილები და დახოცილები, უმეტესად ქალები და ბავშვები არიან.

დღეს საუბარია იმაზე, რომ გენდერული დისპალანსისა და ომის პრობლემები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. მშვიდობის კულტურის დამკვიდრება გენდერულ სამართლიანობასა და თანასწორობაზე ისევეა დამოკიდებული, როგორც განიარაღებასა და დემილიტარიზაციაზე.

მშვიდობისა და არაძალადობის კულტურის დამკვიდრება ახალი საშუალებების ძიებას, ქალებისა და მამაკაცების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. მით უმტკქს, რომ ქალების განსაკუთრებული როლი არაძალადობისა და მშვიდობის შენების პროცესში მრავალჯერ და ბევრ საერთაშორისო ფორუმზეა ხაზგასმული. მათ შორისაა გაერთს უშიშროების საბჭოს ცნობილი და მნიშვნელოვანი რეზოლუცია №1325 (2000 წ.), რომელიც კონფლიქტების თავიდან აცილებასა და დარეგულირებაში ქალების უმნიშვნელოვანეს როლს აღიარებს; ასევე კარგადაა ცნობილი იუნესკოს განცხადება “ქალების წელილის შესახებ მშვიდობის კულტურის საქმეში” ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე პეკინში (4 - 15 სექტემბერი, 1995) და სხვა მრავალი.

მშვიდობის კულტურის დამკვიდრებისათვის მიღებულ დოკუმენტებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განათლებას გენდერის, მშვიდობისა და არაძალადობის საკითხებზე.

როდესაც 1994 წელს იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე გაკეთდა განცხადება საგანმანათლებლო ამოცანების შესახებ მშვიდობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მიმართულებით, რითაც მან მხარი დაუჭირა განათლების მინისტრების დეკლარაციას (მასში



არანაკლები უურადღება დაეთმო გენდერულ მიკერძოებასაც), მონაწილე ქვეყნებმა აღიარეს საგანმანათლებლო საქმიანობის აუცილებლობა და ამგვარი განათლების გალდებულება საკუთარ თავზე აიღეს.

გენერალური კონფერენციის 44-ე სესიის ფარგლებში შექმნილი ჩარჩო-ხელშეკრულება და მისი განხორციელების აუცილებლობა პატივით 1999 წლს ჩატარებულ სამშვიდობო კონფერენციაზე 10 ათასმა ადამიანმა გაიზიარა.

მიღებულ დოკუმენტში მშვიდობისა და არაძალადობის დარგში განათლების აუცილებლობის მიზანები მოკლედ და ყოვლისმომცველადაა ნაჩვენები. მასში ნათქვამია:

“შვიდობის კულტურა რეალობად მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც მსოფლიოს მოქალაქეები განისაზღვრებან გლობალური პრობლემების გაგებით, შეიძენებ კონფლიქტის კონსტრუქციებით გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, გაიზიარებენ ადამიანის უფლებების დაცვის, განვითარების და რასობრივი თანასწორობის საერთაშორისო სტანდარტებს, ისწავლისა კულტურული მრავალფეროვნების დაფასებასა და მთლიანად დედამიწის გაფრთხელებას.”

პრამალადობა ძალადობის საპირისპიროდ

ძალადობის საპირისპიროდ, არაძალადობა ადამიანთა ის ქვევა, რომელიც ხასიათდება კონფლიქტურ სიტუაციებში ძალის გამოყენებაზე უარის თქმით. ეს არის უარი პრინციპული მოსახრებების გამო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძალადობა მათ ქმედით იარაღად არ მიაჩნიათ.


ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება არაძალადობრივი ქმედების ძირითადი მიზანია. ამ თვალსაზრისით, არაძალადობა სიტყვასიტყვით იარაღის აღების, შეკლებლობისა და ადამიანისათვის ფიზიკური ზიანის მიყენებაზე უარის თქმას გულისხმობს.

სიტყვა “არაძალადობა” მე-20 საუკუნეში გაჩნდა. ამ ტერმინს მე-17 – მე-19 საუკუნეებში “მორჩილებასთან”, “პასიურობასთან” აიგივებდნენ. განსხვავებით “მორჩილებისაგან”, ტერმინი “არაძალადობა” სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის ან ძალადობის სხვა მიზეზების აღმოფხვრას არაძალადობრივი გზებით ცდილობს.

ძალადობის წამალი ძალადობა და შურისგება ვერ იქნება. არაძალადობრივი ბრძოლის მიზანი შერიგების მიღწევაა.

არაძალადობა სამოქალაქო გაფიცვებისა და ლოკალური კონფლიქტების დროს გამოიყენება. ცვლილებების განხორციელების მიზნით, არაძალადობის სტრატეგიის განვითარება 20-იან – 40-იან წლებში მაპაომა განდიმ გამოიყენა. იგი იმედოგნებდა, რომ არაძალადობრივი მეთოდი საუკეთესო იარაღი მოწინააღმდეგის ცნობიერებასა და სულზე ზეგავლენის მოსახდენად.

სეფილის დეკლარაციაში არაძალადობის შესახებ ნათქვამია, რომ ძალადობა არ არის გარდაუვალი. არაძალადობის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ სხვას არ მიაყენო ზიანი. “უფლების ძალა” უფრო ეთიკური და





ეფექტური არგუმენტია, ვიდრე “ძალის უფლება”, ეს ფილოსოფია უამრავი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ხასიათის ცვლილებასა და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში განხორციელებულ გარდაქმნებს დაედო საფუძვლად.

ადამიანის ღირსება, კულტურული მრავალფეროვნება

ადამიანის ღირსება, ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებული ყველა ნირმისა და წესის საფუძველია. იგი საყოველთაო და თანასწორ პატივისცემას გულისხმობს ყველას და თითოეული ადამიანის მიმართ. აგრეთვე ისეთ ქცევას, რომელიც გარშემომყოფებისგან პატივისცემას იმსახურებს. ღირსება კარგად ვლინდება იქ, სადაც არსებობს ურთიერთპატივისცემა და პასუხისმგებლობა.

ადამიანები დაობენ განსხვავებულობის გამო (კულტურული, რელიგიური, ასაკობრივი, რასობრივი, გენდერული და სხვ) და ხშირად, საქმაოდ მწვავედაც. ოუმცა განსხვავებულობა მრავალფეროვნების საფუძველია, ხოლო საქართველოს მიმზიდველობა და მშვენიერება სწორედ მრავალფეროვნებაშია.

მრავალფეროვნება ჩვენგან დაფასებასა და პატივისცემას მოითხოვს. იგი მიზნების, გამოცდილების, რწმენის, ხელოვნების, ოჯახის ინსტიტუტისა და გენდერული ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც სხვადასხვა კულტურულ, ეთნიკურ და სახელმწიფო წარმონაქმნში არსებობს. მრავალფეროვნების დაფასება სხვადასხვა ხერხებისა და საშუალებების აღიარებაა, რომლითაც ადამიანები მათში არსებულ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს გამოხატვენ და თავიანთ ადამიანურ მოთხოვნილებებს იქმაყოფილებენ.

სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგიური საკითხების ცოდნა

სოციალური პასუხისმგებლობა არის ადამიანების მზაობა და საზოგადოებაში შექმნილ საჭიროებებზე დროული, ეფექტური რეაგირების უნარი. ეს შეიძლება ეხებოდეს საზოგადოებაში ან რომელიმე ჯგუფში (თემში) არსებულ მოთხოვნილებებს/მდგომარეობას (ლოკალურ ამბავს) ან გლობალური მაშტაბის/მნიშვნელობის მოვლენას, რომელზეც მოელი მსოფლიოს მოქალაქეებმა უნდა მოახდინონ რეაგირება.

ამ ჭრილში ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებული ცოდნა და პასუხისმგებლობა ეკოლოგიურ საკითხებზე, იმის გაგება და გათვალისწინება, რომ პლანეტა და მასზე არსებული სიცოცხლე ფაქტია.

ეკოლოგიური აზროვნება მშვიდობის სფეროში სწავლების აუცილებელი კომპონენტი უნდა გახდეს.



თავის პიპლიობრაზია

- მედინისექტორული პრევენცია და პასუხი გენდერულ ძალადობაზე კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში – ტრენინგის სახელმძღვანელო, JSI Research & Training Institute/RHRC Consortium, Washington DC, 2004.
- Communication skills in working with survivors of gender based Violence – A five-day training of trainers workshop, FHI, RHRC Consortium, IRC.
- Sexual and Gender-Based Violence against Refugees, Returnees and Internally Displaced Persons, Guidelines for Prevention and Response, UNHCR, 2003.
- ოჯახური ძალადობა ქალზე – მრავალქომპონენტიანი კვლევა, კავკასიის ქალთა კვლევითი და საქონისულტაციო ქსელი, 2006.
- საქართველოს კანონი “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”.
- UNFPA პროგრამის – “დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში” – მასალები.



ადამიანის უფლებები – არსი და მნიშვნელობა

ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემას ეფუძნება დღეს პროგრესული მსოფლიო მსოფლიო. ტრანზიციაში მყოფი ქვეყნები, მათ შორის, ურფილი საბჭოთა სახელმწიფოები, იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან დემოკრატიულ და პროგრესულ ქვეყნებად, თუ შეძლებენ ადამიანის უფლებების დაცვის საყოველოაროდ დადგენილი სტანდარტების უზრუნველყოფას. ადამიანის უფლებები დემოკრატიის, პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საზომთაგან უმთავრესია.

ადამიანის უფლებებზე საუბრისას ვგულისხმობთ იმ უფლებებს, რომელიც თითოეულ ინდივიდს ექუთვნის – მამაკაცსა და ქალს, გოგონასა და ვაჟს, ბავშვსა თუ მოხუცს – უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან. ადამიანის უფლებები გაუსხვისებელია, ისინი არავის უბოძებია – არც მონარქებს, არც მთავრობებსა და არც სულიერ წინამდოღებს. ადამიანის უფლებებს განასხვავებენ სამოქალაქო უფლებებისაგან, რომელთა ჩამონათვალი და თითოეულის შინაარსი სახელმწიფოების კონსტიტუციებსა და შესაბამის კანონმდებლობაში აისახება.



”ადამიანის უფლებები“ – ეს სიტყვათშეთანხმება თითქმის ყოველდღე გვესმის, ჩვენს ყოველდღიურ დექსიგამიც დამკვიდრდა. თუმცა სინამდვილეში რა ვიცით მათ შესახებ, რა უფლებებია ეს, რა ინსტიტუციური მექანიზმები არსებობს ადამიანის უფლებების დასაცავად მსოფლიოსა და საქართველოში, რას ნიშნავს ქალის უფლებები, რა უნდა ვიცოდეთ მასზე და რა კაგშირია გენდერულ ძალადობასა და ადამიანის უფლებებს შორის?


ძირითადი კონვენციები ადამიანის უფლებების სფეროში

1. 1948 წელს გაერომ მიიღო ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია. www.unhchr.ch/undr/ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და კონვენციები www.un.org/law/
2. 1966 წელს მიღებული იქნა თრი უნიშვნელოვანები საერთაშორისო დოკუმენტი: “სამოქალაქო და პედიტიოპური უფლებების” და “ეკონომიკური, სოციალური და ძალის უფლებების კონვენციები”.
3. ქალის დისკრიმინაციის კველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) მიღებული იქნა გაეროს მიერ 1979 წელს. –

ადამიანის უფლებები შემდეგ ზურდამენტურ პრინციპებს ეფუძნება:

1. თანასწორობა

ყველა ადამიანი დაბადებულია თავისუფალ და თანასწორ ინდივიდად. ადამიანის უფლებები საყოველთაოდ აღიარებულია ეთიკური და მორალური დირექტულებები გაზიარებულია მსოფლის თითქმის ყველა რეგიონში.



2. პრაღისპრიზაცია:

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ყველა ადამიანი, განურჩევლად რასისა, სქესისა, ასაკისა, აღმსარებლობისა თანასწორია.

3. განუყოფლობა

ადამიანის უფლებები კომპლექსური, მეტად ინტეგრირებული ცნებაა, რომელიც მოიცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ,



კულტურულ და კოლექტიურ უფლებებს. არ შეიძლება, ადამიანს ჩამოერთვას უფლება მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაც გადაწყვეტს, ეს ნაკლებმნიშვნელოვანია ან არის ძირითადი და არსებითი. ეველა უფლება და თავისუფლება ერთნაირად მნიშვნელოვანია.

4. ურთიერთდამოკიდებულება

ადამიანის უფლებები ცხოვრების ყველა სფეროში გვხვდება – სახლში, სკოლაში, სამსახურში, სასამართლოში. ყველა უფლება ურთიერთკავშირშია, თუ ერთი ირდვევა, ე.ო. ირდვევა სხვა უფლებებიც.

5. პასუხისმგებლობა:

გამოყოფენ პასუხისმგებლობის რამდენიმე სუბიექტს:

- a) **სახელმწიფო:** ადამიანის უფლებები მთავრობებისაგან არ არის ბორბული. მთავრობებს კი უფლება არა აქვთ, თავიანთი სურვილისამგებრ განკარგონ ისინი. მთავრობები ვალდებული არიან, უზრუნველყონ თანასწორობა ადამიანის უფლებების დაცვისას.
- b) **ინდივიდი:** ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია, ასწავლოს ადამიანის უფლებები, პატივი სცეს მათ და მათი დარღვევისთვის პასუხისმგებლობა დააკისროს ინსტიტუტებსა თუ ინდივიდებს.
- c) **სხვა სუბიექტები:** საზოგადოების თითოეული ნაწილი, მათ შორის, კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საგანმანათლებლო ინსტიტუტები ინაწილებენ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

ადამიანის უფლებები და სოციალური ცვლილებები

როდესაც ადამიანის უფლებების უნივერსალურობაზე ვსაუბრობთ, საინტერესო ვიცოდეთ, როგორ არის ეს კონცეფცია წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურებში. ადამიანები ათასწლეულების განმავლობაში სწავლობენ ადამიანის ბუნებას. სიკეთესა და ბოროტებაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. ადამიანურ ბუნებას თავისი მოძღვრების ამოსავალ წერტილად განიხილავს სხვადასხვა რელიგია. კონფუციის მიმდევარი ჩინელი ფილოსოფოსი მენ ძე (ძვ.წ. ძვ-3 საუკუნე) ამბობდა, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ქვეილია და სოციალური



პარმონიისაკენ ისწრაფვის. საკუთარი ბუნების გამოსამჟღავნებლად ადამიანს სჭირდება მშვიდობა და სამართლიანობა.

მენ მუ ამბობდა, რომ ადამიანს უფლება აქვს, აღუდგეს ტირან მმართველს, უპირველესი ხალხია, შემდეგ მოდიან მმართველები. ადამიანები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი არიან, მთელი გულით ვერ მოემსახურებიან თავის ბატონს...

ისლამური ტრადიციის მიხედვით, ადამიანები თანასწორნი არიან რასის, რელიგიის, ეროვნებისა და სტატუსის მიუხედავად. სამართლიანობა ყოველგვარ ზიზღსა და სიძულეების მაღლა დგას.

საინტერესოა ბერძნული სტოიკიზმის შეხედულებები ადამიანის უფლებებზე. სტოიკოსების აზრით, კაცობრიობა არც სიკოეზე დგას და არც ბოროტებაზე.

ქვ. წ. აღ მე-5-მე-4 სს. ბერძნული ფილოსოფია უკვე ერთმანეთისაგან ანსხვავებს ბუნებით სამართალსა და ადამიანების მიერ შექმნილ სამართალს.

შეა საუკუნეების ფილოსოფია მთლიანად ბიბლიას ეფუძნება. მოგვიანებით ჩნდება პირველი კრიტერიუმები იმის შესახებ, თუ რა ქმნის სტაბილურ საზოგადოებას. 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებელობის დეკლარაცია მთლიანად ბუნებითი სამართლის პრინციპების განხორციელება და მათი აღიარებაა.

ადამიანის დირსების კონცეფცია ადამიანის უფლებების იდეის ქავეუთხედია. თუ ძევლ საბერძნეთში მხოლოდ თავისუფალი ადამიანის დირსება იყო დაცული ძალადობრივი ქმედებისა და წამებისაგან და ეს პრინციპი არ ვრცელდებოდა მონებზე და არათავისუფალ ადამიანებზე, დღეს 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველოარ დეკლარაციის მიხედვით, ყველა ადამიანი თავისუფალია, მათი დირსება თანასწორად უნდა იყოს დაცული.

რევოლუციური მისტრაზებები

ადამიანის უფლებების კონცეფცია სოციალური რევოლუციებისა და ცელილებების ნაწილია.

“მაგნა ქარტამ” ინგლისში მე-13 საუკუნეში საპარლამენტო სისტემას დაუდო საფუძველი. გარდა იმისა, რომ დიდგვაროვნებსა და შეფეს შორის შეთანხმება შედგა, დოკუმენტმა თავისუფალი ადამიანების უკანონოდ



დაკავება ადგენტი. თავისუფალი ადამიანის დაპატიმრება მხოლოდ სპეციალური ვერდიქტის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

1581 წლის გამოყოფის აქტის საფუძველზე ესანეთის მეფე ფილიპე მე-2 საქვეყნოდ გაასამართლეს. აქტში ნათქეამია, რომ ღმერთის მიერ არის სუერენი მოვლენილი და მისი მოვალეობაა, დაიცვას ხალხი რეპრესიისა და ძალადობისაგან ისე, როგორც მწყემსი იცავს თავის სამწეოს. როდესაც მეფე წყვეტის ზრუნვას თავის ხალხსე, ის მეფე კი ადარ არის, არამედ ტირანი და ხალხს კანონიერი უფლება აქს, ტირანისაგან გათავისუფლდეს და აირჩიოს ახალი ლიდერი. აქტი კაცობრიობის ისტორიაში პირველი დოკუმენტი იყო, რომელიც თვითგამორკვევის უფლებას აკანონებდა.

განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფია და ესთეტიკა ადამიანს ადიარებდა რაციონალურ არსებად, რომელსაც შეეძლო, თავად განესაზღვრა თავისი ბედი და ცხოვრება, ეკლესიის წარევის გარეშე რაციონალიზმის იდეებს ეფუძნებოდა პრუსიის, ავსტრიისა და საფრანგეთის კონსტიტუციები.

ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ადამიანის უფლებების ჩამონათვალია წარმოდგენილი: ყველა ადამიანი თანასწორია და მათ აქვთ სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების უფლება. დეკლარაცია ევროპაში რევოლუციური იდეების შთაგონების წყარო გახდა. 1789 წლის 26 აგვისტოს პარიზის ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია. პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები გულისხმობდა: არაფერია აკრძალული გარდა იმისა, რაც კანონითაა აკრძალული; სასამართლოს გარეშე დაპატიმრება უკანონოა, ადამიანები უდანაშაულონი არიან ბრალის დამტკიცებამდე; ყველას აქს რწმენის, რელიგიის, გამოხატვის თავისუფლება, თუ ეს კანონს არ არღვევს.

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიღება მოხერხდა მხოლოდ 1948 წელს გაეროს მიერ.

რა არის ადამიანის უფლება?

პირველ რიგში ეს სამართლებრივი კონცეფციაა, და განსაზღვრული საკანონმდებლო სისტემის მიერ, გულისხმობს ადამიანისათვის მინიჭებულ უპირატესობას. მორალური თვალსაზრისით კი მასში მოიაზრება უველაფერი სამართლიანი და დირსექული.



ზოგადი უფლებები:

სიცოცხლის, კანონის წინაშე აღიარებისა და თანასწორობის, წამებისა და ძალადობისაგან დაცვის უფლება

თავისუფლებები:

ძირითადია რწმენის, რელიგიის და აზრის თავისუფლებები. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს: შეკრების, ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გადაცემის უფლებას.

მონაწილეობის უფლება:

მონაწილეობის უფლება გულისხმობს უფლებას, იყო ქვეყნის მმართველობის ნაწილი, იყო არჩეული, ასევე გქონდეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

პულტურული ღირებულებები და აღამიანის უფლებების უნივერსალურობა

არსებობს მოსახრება იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებები კულტურების მიხედვით განსხვავებულია და მათ კულტურული სპეციფიკურობა ახასიათებს. ამ მიღომას “კულტურულ რელატივისმს” უწოდებენ. დისკურსში ადამიანის უფლებების უნივერსალურობის შესახებ აზის ლიდერები მიიჩნევდნენ და დღესაც აცხადებენ, რომ ადამიანის უფლებების საყოველთაობა დასავლური იმპერიალიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მეორე მხრივ, სწორედ ისინი იყენებენ ამ მიღომას რეპრესული რეჟიმების გასაძლიერებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ადამიანის უფლებების არსებული კონცეფცია საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. მისი დღევანდები გაგება კი შედარებით ახალი ფენომენია. თანასწორობა და თავისუფლება ყველასთვის, სამართლიანობა და დირსება ყველასთვის განურჩევლად სქესისა, რასისა, აღმსარებლობისა – თანამედროვების მიღწევაა. ჯონ სტიურ მილი¹, რომელიც თავისუფლების იდეის ერთ-ერთი უდიდესი შემქმნელი და მხარდამჭერი იყო მიიჩნევდა, რომ ”არაცივილიზმულ ხალხს“ არა აქვს არაგითარი უფლება საერთაშორისო სამართლის მიხედვით. ამერიკის 1776 წლის რეგოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი, ვირჯინიის დეპლარაცია,² სახალხო სუვერენიტეტისა და დემოკრატიული უფლებების შესახებ არაფერს ამბობდა მონობის შესახებ, რომელიც ამერიკაში თითქმის საუკუნის შემდეგ გაუქმდა სამოქალაქო ომის შედეგად. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია მხოლოდ მამაკაცის უფლებებს

¹ ჯონ სტუარტ მილი (1806-1873) – ბრიტანელი ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე, ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, უტილიტარიზმის მოწინააღმდეგე. იგი სახელმწიფოს ჩარევის მოწინააღმდეგე იყო სოციალურ ცხოვრებაში.

² ვირჯინიის დეპლარაცია -



აკანონებდა, ფრანგმა ქალებმა უფლებები მხოლოდ 1945 წელს მესამე რესპუბლიკის კონსტიტუციით მოიპოვეს. ამით იმის თქმას კიდევ ერთხელ ვცდილობთ, რომ ადამიანის უფლებების უნივერსალურობა სრულიად ახალი კონცეფციაა. პოლოკოსტი, რომელმაც მიღიონობით ებრაელის სიცოცხლე შეიწირა, არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა და ერთი ერის დანარჩენებზე აღმატებულობის იდეის განხორციელების ძალადობრივი შედეგი იყო.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა. ადამიანის უფლებების შესახებ არსებული მრავალი დისკურსის მიუხედავად (განვითარების, სიღარიბის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირების, შიდაპოლიტიკური ტრანზიციების, დემოკრატიული პროცესების კონტექსტში), „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები კითხვის ნიშანის ქვეშ არ დგას“ (1993 წლის ვენის დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ).

რატომ ქალის უფლებები?

დღეს საერთაშორისო საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ადამიანის უფლებების დაცვის სრულ უზრუნველყოფას. მიუხედავად უამრავი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმისა, ადამიანების უფლებები მრავალ ქვეყანაში უხეშად ირდვევა. გენდერული ძალადობა ადამიანის უფლებების, კერძოდ, ქალის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი მაგალითია.

ჯერ კიდევ 1948 წლის გაეროს ქარტიაში აღინიშნა, რომ მამაკაცი და ქალი თანასწორია, რომ ყველა ინდივიდი, რასის, რელიგიის, სტატუსის, ასაკისა და სქესის მიუხედავად, სარგებლობს დირსებითა და უფლებით. ოუმცა ეს განცხადება საქმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მსოფლიოში ქალების ცხოვრება და ბედი შეცვლილიყო. საყოველთაო დეკლარაციამ ვერ უზრუნველყო დრმადგამჯდარი ტრადიციებისა და უსამართლობის აღმოფხვრა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხსა თუ კულტურებში, რაც ქალის მიმართ ძალადობას და მის დაბალ სტატუსს აღიარებდა. 1967 წლის 7 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა დეკლარაცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის აღნიშნული დოკუმენტი სავალდებულო არ იყო. ამიტომაც აღნიშნულმა დოკუმენტმა ვერ უზრუნველყო ახალი, უფრო სამართლიანი გარემო სადაც ქალები და მამაკაცები საერთო და თანასწორი უფლებებით ისარგებლებდნენ.



ქალის სტატუსზე მომუშავე გაეროს კომისიამ მთელი სამოცდაათიანი წლები მოანდომა ქალების დამცველ კონვენციაზე მუშაობა, რომელიც გაეროს წევრი სახელმწიფობისათვის სავალდებულო უნდა გამხდარიყო. საბოლოოდ, 1979 წელს დამტკიცდა კონვენცია ქალის დისკრიმინაციის უველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. დღეს კონვენცია რატიფიცირებულია 185 ქვეყნის მიერ. საქართველო ამ დოკუმენტს 1994 წელს მიუერთდა.

გაეროს ეგიდით პირველი კონფერენცია ქალის პრობლემების შესახებ 1975 წელს მეხიერში მოეწყო. ამ კონფერენციამ ხელი შეუწყო მოგვიანებით ქალთა კონვენციის შექმნას. 1975-1985 წლები კონფერენციაზე გამოცხადდა ქალების ათწლეულად. მეხიერს შეარგბას მოჟევა კოპენჰაენის, ნაირობისა და 1995 წელს პეკინის კონფერენციები. პეკინის კონფერენციამ საფუძველი დაუდო თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის ახლებურ კონცეფციას, რომელშიც ქალს განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა.

პეკინის კონფერენციის სამოქმედო პლატფორმა

ქალებთან დაკავშირებული კრიტიკული საკითხების ჩამონათვალი:

სიღარიბე, განათლება, ჯანდაცვა, ქალის წინააღმდეგ ძალადობა, ქალი და ქეიარაღებული კონფლიქტი, ქალი ხელისუფლებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალების განვითარების ინსტიტუციური მექანიზმები, ქალის უფლებები, ქალები და მედია, ქალი და გარემო, გოგონები.

პონენცია ქალების მიმართ დისპრიმინაციის გველა ზორმის აღმოფხვრის შესახებ

ზუსტი 1

“ქალთა დისკრიმინაცია „ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესს ნიშნოთ, რომელიც დახსავს ან არარად ავდებს პოლიტიკურ, პონორმიურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას. . . ”

ზუსტი 5

წევრი სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას იღებენ, რათა: შეცვალონ ქალთა და მამაკაცთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები, იმისათვის, რომ



აღმოიფხვრას კველა წინაგანსჯა, ადათ-წესი თუ ტრადიცია, რომელიც საფუძვლად უდევს მამაკაცის უპირატესობას ქალზე.

ზურდი 6

უნდა აიკრძალოს ქალებით ვაჭრობა და ქალთა პროსტიციულისა და ექსპლუატაციის უფლებელი სახე.

ზურდი 7

ქალებს უნდა პქონდეთ მის მიცემის უფლება და უნდა შეეძლოთ, კენჭი იყარონ არჩევნებში კანდიდატებ, მათ, მამაკაცების მსგავსად, უნდა პქონდეთ თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები სამთავრობო თანამდებობების მისაღებად.

ზურდი 10

ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლებები უნდა პქონდეთ განათლების მიღების, დარიუერის წარმართვის, სწავლის, კურსისა და მასწავლებლის არჩვის პროცესში. სახელმძღვანელოებისა და სახწავლო ტექსტების რევიზია უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მასში მოცემულია ქალისა და მამაკაცის როლების შესახებ სტერეოტიპული კონცეფციები.

ზურდი 11

ქალებისათვის ანაზღაურებადი სამუშაოს უფლება, უფლება თანასწორი ანაზღაურებისა ერთი და იმავე სამუშაოსათვის ქალისა და მამაკაცისათვის. უეხმილობის ან ოჯახური სტატუსის შეცვლის შემთხვევაში (გათხოვება, გაყრა და ა.შ.) ქალის სამუშაოდან დათხოვის უფლების აღმოფხვრა. ანაზღაურებადი დეპრესული შვებულების უფლება.

ზურდი 14

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სოფლებში მოსახლე ქალების პრობლემები და ის განსაკუთრებული როლი, რომელსაც სოფელში მოსახლე ქალი ოჯახის ეკონომიკური გადარჩენისათვის ასრულებს, მათ შორის, აუნაზღაურებელი სამუშაო.

პირობრავი:

1. Dicisive Barbarity or Global Civilization? The Ethical Dimensions of Science, Art, Religion and Politics, University Press of Maryland.
2. Dealing with Human Rights, Asian and Western Views on the Values of Human Rights, edited by Martha Meijer, 2001.
3. Pathway to Gender Equality, CEDAW, Beijing and MDGs, UNIFEM, GTZ.
4. ქალის უფლებები ნაბიჯ-ნაბიჯ, პრაქტიკული სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენებისათვის ქალის უფლებების დასცავად, საერთაშორისო ორგანიზაცია “ქალები, ქანონი და განვითარება”.
5. Teaching Human rights, a handbook for Teachers.
6. Empowering Young Women to Lead Change, A Training Manual UNFPA and World YWCA, 2006 628_filename_empowering-young-women_eng.pdf.



ტრანსინგოს პრობლემა

5 დღიანი სატრანინგო პრობლემა

5 დღიანი სატრანინგო პროგრამა განკუთვნილია პროექტის-დაგმორთ გენდერული ძალადობა საქართველოში” I ეტაპის მონაწილეებისათვის, რომლებიც უნდა მომზადონებს განხანათლებლებად, მომდევნო II ეტაპს ტრანსერებად. ვინაიდან ეს პროგრამა ორიენტირებულია როგორც ცოდნის და უნარ-ჩვევების გადაცემაზე, ასევე მონაწილეობა გავარჯიშებაზე შემდგომის ტრანინგის ჩატარებაში, პროგრამის პირველი და ბოლო ნაწილები იტერაქტიული სწავლების და ტრენინგის მომზადების სესიებსაც მოიცავს.

მთლიანობაში სატრანინგო პროგრამის სტრუქტურა შედგება ცალკეული თემატური სესიებისაგან, რომლებიც თავის მხრივ შეიცავს ძირითადი საკითხების ჩამონათვალს, მსელელობის ხანგრძლივობას, აქტივობებისა და მომდინარეობის მოქლე აღწერას.

პროგრამაში მთითებული ყველა საგარჯიშო შეგიძლიათ იხილოთ კურიკულუმის “საგარჯიშოების” ნაწილში, ხოლო თემორიული პრეზენტაციების დროს დაფურდოთ “ძირითადი საკითხების” ნაწილში მოცემულ თემორიულ ჩართვებს.



I დღე

I სესია	შესავალი, გაცნობა, მოლოდინი	დრო
მიზანი	პროგრამის წარდგენია; გაცნობა; მოლოდინის კვლევა, მუშაობის ხორმების შემუშავება	
აქტივობები და მიმდინარეობა	ტრენინგის პრეზენტაცია; საგარჯიშოები: “გაცნობა წყვილებში”, “მოლოდინების მტკვანი” “კინსტიტუცია”	75 ათასი
II სესია	ინტერაქტიული სწავლება და მისი მეთოდები	
მიზანი	ინტერაქტიული სწავლების ძირების ძირების პრინციპების, ტრენინგის სტილისა და ტრენინგის მეთოდების გაცნობა	75 ათასი
აქტივობები და მიმდინარეობა	თეორიული პრეზენტაცია საგარჯიშოები: “ტრენინგის პორტრეტი”, “ვიმსჯელოთ მეთოდებზე”	75 ათასი
ს ა ჩ ი ბ ი ლ ი		45
III სესია	გენდერი	
მიზანი	“გენდერის” ცნების გააზრება, გენდერისა და სქესს შორის განსხვავების დანახვა; გენდერული მიდგომის არსის გაგება	75 ათასი
აქტიობები	თეორიული პრეზენტაცია საგარჯიშო: “სქესი/გენდერი”	
IV სესია	გენდერული სტერეოტიპები	
მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • გენდერული სტერეოტიპების გამოვლენა და გაცნობიერება • სტერეოტიპის შემზღვდავი ზემოქმედების გამოვლენა • შიდა ჯაუფური ნდობის განმტკიცება 	
აქტივობები	თეორიული პრეზენტაცია საგარჯიშოები: <ol style="list-style-type: none"> საგარჯიშო წყვილებში: “გენდერული სტერეოტიპები ჩვენს ცხოვრიბაში” დისკუსია, თეორიული პრეზენტაცია საგარჯიშო “ანდაზები” 	75 ათასი



გავლილ მასალაზე რეფლექსია/ანალიზი

30
წუთი

II დღე

I სესია	ძალადობა	დრო
მიზანი	ცნების დადგენა/გააზრება	
აქტივობები და მიმდინარეობა	ტრენინგის პრეზენტაცია; საგარჯოშოები: “გაიხსენე შემთხვევა”, “კოლაჟი” ან ფილმი	75 წუთი
II სესია	ძალადობის ტიპები	
მიზანი	ძალადობის სხვადასხვა გამოვლინების გააზრება; ძალადობის ტიპების განსაზღვრა; ძალადობრივი ქმედების დაძლევის გზების განსაზღვრა	75 წუთი
აქტივობები და მიმდინარეობა	თეორიული პრეზენტაცია საგარჯოშოები: “გადაიქვანე შენს მხარეს”, “სკულპტურა”	75 წუთი
ს ა დ ი ბ ი ლ ი		45
III სესია	არაძალადობა	
მიზანი	არაძალადობის არსის დადგენა, არაძალადობრივი ქმედებების გაცნობა	75 წუთი
აქტივობები	დისკუსია საგარჯოშო: “არაძალადობრივი ქმედები”	75 წუთი
IV სესია	ძალაუფლება	
მიზანი	ძალაუფლების სხვადასხვა გამოვლინების აღმოჩენა; იმის გააზრება, თუ როგორ შეიძლება გადაგიდეს ძალაუფლება ჩაგვრაში.	
აქტივობები	თეორიული პრეზენტაცია, საგარჯოშოები: ”ძალაუფლების სახეები”, ”ქანდაკება - ძალაუფლება სხვაზე”, დისკუსია	45



davZlioT genderuli Zaladoba amierkavkasiaSi



გავლილ მასალაზე რეფლექსია/ანალიზი

30
წუთი



III დღე

